

სამეგრელო

№7 (44) 1.07.2015 - 1.08.2015

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

სვანიის ქუჩიდან დაწყებული ტრაგედია



ლიზა და ინდირა
ზარანდიაძე

ვაკიან
ქუთალია



13

თეგს ინენავლა ივინის ღაჲე
გაღაჲსოგილი კოლსთა ასულაჲს

ეს გაგაკჷვება საქართველოს ვიზუალური



28

სალომე
ფაჷაჷა

ნესტორ ესეჷა

26

„ძოღი გეგზეჲნთ ეჷჷჲს
ძეგრეჷი ესეჷჷჲლ“

ჲინი ღაჷალაგით ჲინაჷჷჷს პროჲეთა კაჷკასიონჷა



8



34

ჷჷჷილოთა
ჷჷჷნა ტაჷარკი
ჲარტჷილჷი



სალომეჲინა ღა
ჲესნეჲგჷის
კაჷღეჲინა

ინსაჷლეთ რჷჲეთან

გაღაღაჲს მსოფჷსიონალ

ჩეჷჷინის ხჷა



სალომე საქართველოს სჷღაგა

9 771987852005


„ნიმო რეპროდუქციის გამომცემლობა“



მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810



ს ა რ ჩ ე ვ ი

	პეტრე პავლობა..... 2
	უმეცართა ზნეობამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა..... 5
	ხობი სრულიად საქართველოს ამცნობს
	13 ივნისი - ქართველების ტკივილი..... 6
	ბია..... 8
	სვანიძის ქუჩიდან დანყებული ტრაგედია..... 11
	ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 12
	ნალენჯიხა სრულიად საქართველოს ამცნობს..... 14
	მარტვილი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 16
	სენაკი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 18
	გივი სიხარულიძე სულის მარტოობა 20

	„ოქროს საწმისი“ და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი..... 23
	მრავალგზის გამარჯვებული ნესტორ ესებუასა და გლდანელი კულას ამბავი 26
	ეს გამარჯვება ჩემს საქართველოს მივუძღვენი, მინდოდა ამ მძიმე დღეებში მცირედ მაინც გამეხარებინა ხალხი..... 28
	იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა 30
	21-ე საუკუნის ხილული სასწაული და უშვილოთა შემნე ტაძარი 34
	დაბრუნებული საუნჯე — დავით კიკოლაშვილი 36
	განვიკურნოთ ერთად..... 38
	კუბელი დურუ ხუნჭუა..... 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გიორგი გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარციანიძე
ტექსტი ააწყო
თაბარ გომინაძე
მისამართი: თბილისი, ლესელიძის
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის
პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,
ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ
თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.
ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

პეტრე პავლობა

ქრისტეს მონაფეთა - მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მათგანს მიაგებს და მათ თავმოციქულებად სახელსდებს. ესენი არიან - წმ. პეტრე და პავლე.

წმ. მოციქული პეტრე, უფროსი ძმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილიის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეთსაიდის მეთევზე იყო. სახელად ადრე სვიმონი ეწოდებოდა. „შენ ხარ სვიმონ, ძე იონაჲსი, შენ გენოდოს კეფა, რომელი ითარგმანების: — კლდე“. ასე უთხრა მას იესო ქრისტემ, როდესაც მიჰხედა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ვლიდა რა ქრისტე გალილიის ტბის ნაპირთან, კვლავ იხილა პეტრე და ანდრია, რომელნიც ბადეს აგდებდნენ ტბაში. „მოვედით და შემომიდექით მე და გყვენ თქვენ მესათხვეველ კაცთა“ - ამ სიტყვებმა, რომლებიც უბრალო მეთევზეებისადმი იყვნენ მიმართულნი, გადანყვიტეს მათი ბედი. მგზნებარე პეტრე, მხურვალედ მოყვარული უფლისა იესოსი, მაშინვე შეუდგა მას. მალე თვით უფალმა მოინახულა პეტრეს სახლი და მხურვალეებისაგან განკურნა მისი სიდედრი.

ჰქონდა რა უდიდესი რწმენა და ერთგულება, პეტრე, - ერთი მხოლოდ ქრისტეს მონაფეთაგან - გაკადნიერდება სთხოვოს უფალს: „უფალო... მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“. უფლის სიტყვისაებრ იგი ნავიდან წყალზე გადმოვიდა და როგორც ხმელეთზე ისე გაეშურა მისკენ. მაგრამ შეეჭვდა რა ღვთიურ შეწევნაში, დანთქმა იწყო. „უფალო, მისხენ მე!“ შესძახა პეტრემ და ღვთიურმა მოძღვარმაც არ დაახანა, მესყუელად განართხო ხელი და კვლავ უკან, ნავში, აიყვანა. მაგრამ არა მარტო ქარბორბალასა და ქარისაგან იხსნა უფალმა, არამედ მცირედმორწმუნეობისგანაც, ეტყოდა რა „მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“.

თაბორის მთაზე პეტრე იაკობსა და იოანესთან ერთად გახდა მოწმე უფლის ღვთიური დიდებისა. დაინახა რა უფალი იესო ქრისტე ფერიცვალებით და ესმა ხმა მამალმერთისა „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“, პეტრემ განიხარა და წამოიძახა „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ“. ამაზე მოგონება მის ერთ-ერთ ეპისტოლეშია შემორჩენილი.

მოახლოვდა რა ჟამი მაცხოვრის მხსნელი ვნებებისა, იერუსალიმისაკენ მიმავალი დაეკითხა იგი თავის მონაფეთებს „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“

პეტრემ, მოციქულთა შორის პირველმა, სთქვა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი“, რისთვისაც უფლისაგან უდიდესი შექება დაიმსახურა: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა“ „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“. პეტრესეულმა აღმსარებლობამ თავისი გამოძახილი ჰპოვა მოციქულთა სადღესასწაულო საკითხავებში „ქრისტემან შენ პირველი გამოგაჩინა, პეტრე და საფუძველად სარწმუნოებასა გვირგვინოსან-გყო შენ“. საიდუმლო სერობის უწინარეს სიონის ქორედზე მაცხოვარმა „...მოილო არდაგი და მოირტყა იგი... და იწყო ბანად ფერხთა მონაფეთა თვისთა“. „უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?“ შეენინა აღმდეგა პეტრე. „უკუეთუ არა დაგბანე შენ ფერხნი, არა გაქუნდეს შენ ნაწილი ჩემ თანა“ - განუმარტა მას უფალმა. მაშინ პეტრემ, შიშითა და სიყვარულით მოცულმა, შეჰღალადა: „უფალო ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი“.



მონაფეთაგან მხოლოდ ერთი, პეტრე, გამოექომაგა უფალს გეთსიმანიის ბაღში. აღმოიხანა მახვილი და ერთ იქ მოსულთაგანს მოჰკვეთა ყური, მაგრამ მაცხოვარმა თვით თავისი სიკვდილის წინაც კი იბრუნა და განკურნა ყურმოჭრილი. პეტრე გაჰყვა უფალს კაიაფა მღვდელთმთავრის სახლამდის, მასთან ერთად შევიდა ეზოში და იდგა იქ ცეცხლთან და თბებოდა. მაგრამ სამგზის უარჰყო თავისი ღვთიური მოძღვარი, როცა მასაც ხელს ადებდნენ, როგორც ქრისტეს მონაფეს: „არა ვიცი კაცი ესე“ და როდესაც მესამედ უარჰყოფდა, დაინახა რომ უფალი უმზერდა მას და „განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“. ერთ-ერთი წმინდა გადმოცემით, მას მერე ყოველთვის, როცა კი მოესმოდა მამლის ყივილი, პეტრე თურმე მწარედ ატირებოდა ხოლმე, მომგონებელი თავისი ამ შეცოდებისა, ისე რომ ხშირი ტირილისაგან თვალის უპესთან სისხლიანი ღარები გაუჩნდა.

მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც გულმონყალე უფალი არ ჰპატიებდეს. პეტრეს სინანული იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ აღდგომის შემდეგ უფალი პირველს, მონაფეთა შორის, პეტრეს ერგენა. სამჯერ დაეკითხა პეტრეს: გიყუარ მეა? და სამგზის მიილო პასუხად: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. იესო ქრისტემ აღადგინა იგი მოციქულის ღირსებაში, ანდო მას დასამწყსველად თავისი სიტყვიერნი ცხოვარნი.

უფლის ამაღლების შემდგომ პეტრეს რჩევისაებრ

ათორმეტ მოციქულთა შორის შეირაცხა მატათა. ამას შემდეგ, სულთმოფენობისას, პეტრე პირველქრისტიანული თემის წინამძღოლი შეიქმნა. მკვდრეთით აღმდგარი უფლის მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული მისი ქადაგება იმდენად ცხოველსმყოფელი ზემოქმედების იყო, რომ ათასობით ადამიანს მოაქცევდა ქრისტეს სარწმუნოებაში. საოცარი ნიშები ახლდა პეტრესეული აღმსარებლობის ქრისტესმიერ რწმენას. მკვდრები აღსდგებოდნენ, მკელობენი და განრღვეულნი განიკურნებოდნენ, დანაშაულში მხილებულნი სულს განუტევებდნენ.

ცნობილია წმ. პეტრე მოციქულის ორი კათოლიკე ეპისტოლე. მეორე ეპისტოლეში წერს „უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევება საყოფელისა ამის ჩემისაჲ, ვითარცა - იგი უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან მაუწყა მე“, ანუ უფლის სიტყვისაებრ წინასწარმეტყველებს თავის მოახლოებულ აღსასრულს. იმპერატორ ნერონის ბრძანებით პეტრე მოციქული შეიპყრეს და განაჩენად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს მიელო ისეთივე მონამეობრივი სიკვდილი, როგორც მის მასწავლებელს ჯალათებს სთხოვდა თავქვე ეცვათ ჯვარს, სურდა რა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.

წმ. მოციქული პავლე წარმოშობით ბენიამენის ტომიდან იყო და თავის მოციქულებრივ მსახურებამდის სახელად სავლე ერქვა. კილიკიის ქ. ტარსუსში დაბადებული „განსწავლულ ზედმინევით მამულითა სჯულითა; მოშურნევიყავლმრთისათვის“, როგორც თვითონვე ამბობდა საკუთარ თავზე, - „ვსდევნიდ ვიდრე სიკუდილამდე, შევპყრებ და მივსცემდ საპყრობილედ მამათა და დედათა“. იგი იწონებდა მთავარდიაკონ სტეფანეს წამებას და მის ქვით ჩამქოლავთა სამოსელსაც კი სდარაჯობდა.

როდესაც იგი დამასკოს მიუახლოვდა, იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა. ყველა მისი მხლებელი მხედარი ცხენებიდან ქვე ჩამოვარდა, ხოლო სავლეს ესმა ხმა, რომელიც იტყოდა: „საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა ნიხნაჲ დეხისაჲ“. სავლე დაეკითხა: შენ ვინ ხარ, უფალო? ხმამ უპასუხა: მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. არამედ აღდეგ და დადეგ ფერხთა შენთა ზედა, რამეთუ ამისთვის გეჩვენე შენ, რათა დაგ ადგინო შენ მსახურად და მონამედ, რომელი იხილე და რომელი გიჩუენო შენ.

სავლეს მხლებლებს ხმა ესმოდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ღვთიური ნათებისაგან სავლე დაბრმავდა და უფლის მითითებით გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი ანანია ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს კი გამოცხადებით ემცნო: აღდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა მას, რომელსა ჰრქვიან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდასთა სავლე სახელით, ტარსელი. ანანიას მისთვის ხელი უნდა

დაესხა და თვალი აეხილებოდა.

მოილო რა პავლემ უფლისაგან ბრძანება, ეხარებინა სასუფეველი, იწყო მქადაგებლობა იუდეველებსა და წარმართებში, მონებს შორის და თავისუფლებში, რისთვისაც თავს იღო ხანგრძლივი მოგზაურობები და წარგზავნიდა ეპისტოლეებს. პალესტინასა და მცირე აზიაში, საბერძნეთსა და იტალიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე გაისმოდა მოციქულის მგზნებარე სიტყვა.

თავის განუწყვეტელ ღვაწლში მრავალი ჭირთათმენა უწევდა წმ. პავლეს. „ჰურიათაგან ხუთ გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემა მოვიღე. სამგზის კუერთხითა ვიეც, ერთ გზის ქვითა განვიტვინე, სამგზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დაეყავ“. ფილიპპესა და მაკედონიაში ქადაგებისას შეპყრობილ იქნა და საპყრობილეში ჩადებულ. მაგრამ ბორკილადებულიც განაგრძობდა ლოცვასა და ღვთის დიდებას და შუალამისას დიდი ძრვა იყო, კარნი განეხვნეს და ბორკილები დასცვივდა.

ათენში ქრისტეს ახარებდა „მის მიერ ცხოველ ვართდავიქცევითდავართ“. ამ ქადაგებამარეოპაგში ახალმოქცეულები შესძინა საქრისტიანოს, მათ შორის მომავალი დიდი ღვთისმეტყველი დიონისე არეოპაგელი. როდესაც მესამე მისიონერული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა პავლე მოციქული კესარიისში შეხვდა აგაბო წინასწარმეტყველს, რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, „შეიკრა ხელი და ფერხნი და სთქვა: ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიემს“. ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა. იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიპყრეს და როგორც რომის მოქალაქე კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.

აქ, რომში წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეენეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით მან მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

ზოგიერთი მონშობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მონამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთიწლის შემდეგ მოკვეთეს მახვილით თავი პეტრეს ჯვარცმის შემდგომ. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დანესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტიანთათვის. IV ს. წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

რუსულიდან თარგმნა
დეკანოზმა **არჩილ მინდიაშვილმა**

დედაქალაქი სტიქიური უბედურების ეპიცენტრად იქცა

1924



„წყალდიდობის მსხვერპლნი“ - ამ სათაურით 1924 წლის 14 ივნისს გამოვიდა გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც 13 ივნისს ვერეს ადიდებისა და ადამიანთა მსხვერპლის შესახებ იტყობინებოდა.

გაზეთი წერს, რომ სოფლიდან ღამის გასათევად დაბინავებული გლეხები მოულოდნელად მოვარდნილმა ვერემ წყლის ქვეშ მოიყოლა. ჯერ ძლიერი კუდიანი ქარი ამოვარდნილა, ხოლო შემდეგ წვიმა 1 საათი გაგრძელებულა. გაზეთი კონკრეტულ ადგილსაც მიუთითებს: პირველ სამილიციო უბანში, ვერეს ლელესთან ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია.

„1-ელ სამილიციო უბანში, ვერეს ლელესთან ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის მახლობლად, ჩვეულებრივ დაბინავებულან მახლობელ სოფლიდან ჩამოსული გლეხები ურმებით ღამის გასათევად. გლეხები მოჰყვნენ წვიმაში, მოულოდნელად აღნიშნული ლელედან მოვარდნილა ძლიერი ნიაღვარი და იქ დაბანაკებული გლეხები თავიანთი ხარ-ურმებით გაუტაცნია და შეუყრია მტკვარში. დაღუპულთა რაოდენობა და ზარალი გამოურკვეველია. უბედურების ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდა მილიციის უფროსი და ცეცხლის მქრობელი რაზმი“ - ამონარიდი 1924 წლის 14 ივნისის გაზეთ „კომუნისტიდან“.

1960



ფოტო არქივიდანაა ამოღებული და თბილისში 1960 წლის 4 ივლისს მომხდარ სტიქიას ასახავს. არსებული ინფორმაციით მაშინ მდინარე ვერე ადიდდა და თბილისის ზოოპარკი და გმირთა მოედანი დატბორა.

2015



13 ივნისს თბილისში სიკვდილის ზარმა ჩამოჰკრა, ვერეს ხეობა თავისებურად მოაჯადოვა და სისხლმონყურებული, გავეშებული დააცხრა თავს დედაქალაქს. მოთქმა, გოდება და ვაი-ვიში ისმოდა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე. მინამ პირი გახსნა და 19 ადამიანის სიცოცხლე თან ჩაიტანა. 3 გაუბედურებული ადამიანის ცხედრის პოვნა დღემდე ვერ ხერხდება. დანგრეულ-გაპარტახებული სახლები, მიწისაგან პირისა აღველი გზა-კვალი, წლების მანძილზე ნაგროვები კაპიტალი, მოშლილი

ნერვები და განაცრისფრებული ცხელი ზაფხული... ამ ყველაფრის ფონზე შეუძლებელია არ აღინიშნოს ჩვენი ახალგაზრდა თაობის სამაგალითო ერთიანობა, ისინი თავიანთ ქალაქს და თანაქალაქელებს დაუდგნენ მხარში. ეს დღევანდელიდან გამომდინარე, თითქოს გასაკვირია, მაგრამ თუ თვალს გადავაკვლებთ საქართველოს ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ — ქართველებს ოდითგანვე გაჭირვებაში გაერთიანება გვახასიათებდა და ასე მოვედით დღემდე.




**უპეხარტა
ზნეოგაჲჲ ჰვეყანა
კაზასზრეოფაგდე
გიიყვანა**

გეოლოგი, ქართული საინჟინრო გეოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი, პროფესორი **გიორგი ჯაფარიძე**, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ, „თბილისის საინჟინრო გეოლოგიაში“ წერდა: „განსაკუთრებით რთულად (sic!) უნდა ჩაითვალოს ტბისეული დანალექების გავრცელების არეალი (მდინარე ვერეს ხეობა), სადაც 1934 წლიდან დაწყებული მენყრული ნანაცვლებები რელიეფის დეფორმაციას იწვევს. ტბისეული დანალექების გავრცელება მტკვრის თანამედროვე დონის ქვემოთ ჩვენ დავადგინეთ 1935 წელს და დავადასტურეთ 1951-1974 წლების შრომებში. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს იმ შემთხვევებში, როცა ეს ტერიტორიები განაშენიანებისთვის ან მიწისქვეშა მშენებლობისთვის იქნება გამოყენებული.“



ეს იმ ამბიციური ყვარყვარებისთვის და მათი მეხოტბეებისთვის, ვის უმეცარ, უგნურ ვოლუნტარიზმსაც უნდა ვუმადლოდეთ უდიდეს ადამიანურ და მატერიალურ კატასტროფებს.

მეცნიერებამ ჯერ კიდევ 80 წლის წინ დაადგინა, რომ საინჟინრო-გეოლოგიური რისკების თვალსაზრისით ვერეს ხეობა განსაკუთრებით რთული იყო, შესაბამისი გაფრთხილებაც გაკეთდა. მეცნიერების და ცოდნის იგნორირებამ და უმეცართა ზეობამ სად მოგვიყვანა დღეს თვალნათლივ დავინახეთ.



сульфатно-агрессивными, независимо от глубины залегания и литологии водовмещающих пород. Установлено увеличение содержания сульфатных солей в водах в направлении с запада на восток.

8. Связные и рыхлые грунты, имеющие большое распространение на территории, также являются сульфатно-агрессивной средой вследствие содержания в них гипса.

9. Особо сложной следует считать площадь распространения озерных отложений (ущелье р. Вере), где начавшиеся с 1934 г. оползневые смещения вызывают деформацию рельефа. Распространение озерных отложений ниже современного уровня р. Куры нами установлено в 1935 г. и подтверждено работами 1951—74 гг. Это следует принять во внимание в случаях использования территорий под застройку или подземного строительства.

10. Вопрос генезиса замкнутых депрессий нами рассмотрен методом исключений, вследствие чего анализом фактического материала доказана несостоятельность объяснения генезиса этих депрессий в результате тектонических подви-

146



სოციალიზაცია საქართველოს ამცნობს

13 ივნისი - ქართველების ტკივილი

სობის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებას გამოთქვამს თბილისში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს, მათ შორის სობელი გოგონების ლიზი და ინდირა ზარანდიების ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტში შეგროვდა შემოწირულობები. სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურებმა საკუთარი ხარჯებით შეიძინეს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკა და ჭურჭლეულობა, რომელიც შემოწირულობებთან ერთად გადაიგზავნა თბილისში.



ლიზი და ინდირა ზარანდიები

გლოვის დღესთან დაკავშირებით საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით სობის მუნიციპალიტეტის ყველა მოქმედ ტაძარში ტრაგიკულად დაღუპული ადამიანების სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს, მათ შორის ქ. სობის სამების ტაძარში (მოძღვარი კირიონ დარასელია). გარდაცვლილთა სულებს პატივი მიაგეს და სანთლები დაუნთეს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა.

15 ივნისს საღამოს საათებში ქ.სობის ცოტნე დადიანის სახელობის პარკში „საქართველოს მოხალისეთა, არასამთავრობო ორგანიზაცია „სობინენს“ის ორგანიზებით და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით 13 ივნისს ქ.თბილისში მომხდარ ტრაგედიაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მდუმარე აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა სიმბოლურად სანთლების მეშვეობით გამოსახეს ტრაგედიის თარიღი და გლოვის ლენტე.



20 ივნისს გლოვობდა სობი, ზუგდიდი და მთელი საქართველო. თბილისში სტიქიური უბედურების დროს გარდაცვლილი მარიამ ქუთელია და დები ინდირა და ლიზა ზარანდიები მშობლიურ მიწას მიაბარეს. გარდაცვლილთა ოჯახებს ვიცე-

პრემიერმა კახა კალაძემ, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა, პარლამენტარებმა - ზვიად ძიძიგურმა, გიგა ბუკიამ, გოდერძი ბუკიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, ვიცე-გუბერნატორმა კობა ქანთარია და ხობის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჭირისუფალთ მიუსამძიმრეს და გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგეს.



მარიამ ქუთელია მამის გვერდით მშობლიურ ზუგდიდში, დები ზარანდიები კი ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულში დაკრძალეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ინიციატივით, დაკრძალვის ხარჯები ხობისა და ზუგდიდის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაფარა. მთავრობამ კი დალუპულთა ოჯახებს 10 ათას ლარი ჩაურიცხა.

13 ივნისი ქართველების, ხობელების დიდი ტკივილია. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგებელი გოჩა ქაჯაია კიდევ ერთხელ უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს. ღმერთმა გაგაძლიეროთ.

ლიზა და ინდირა ზარანდიების ხსოვნას


ასლა არ ეშინიათ,
ეფერებათ მშენი,
როგორ შეწყდა სიძღვრე-
ცის უვაზილა დების...
სანამ ცა იქუფრება,
ნათელს ეფერებით,
აღისფერი თმებით და
მონარნარე ხმებით...
წვიმაჲ, თბილისს ნუ მოხვალ..
წვიმაჲ, რად არ ქრები?!
მერე ცა იქუფრება - ღრუბლის
კანთან კრთებით..
დაკარგულან ხობიდან,
ფერიების ხმები..
„ცა ღრუბლებთან ტიროდა“
ლექსად გვეწერებით..
გული გულთან გვტკივა და
ცრემლის კანთან ვდგებით..
შერთვიანო ცრემლის ზღვას-
მთარული მშენი..
ცისარტყელად მოსულნი-წვიმას
გაუვნენ.... დები.....
როსეტა შულანია



ინდირა და ლიზა
ზარანდიებს და
მარიამ ქუთელიას ხსოვნას

ივნისის ცამეტს....

ივნისის ცამეტს ცას მოწედა ღამე,
ფიქრებს ჩამოჰყვა -ცამდე ასულებს,
თმებს იწეწავდა მთვარე ვერედან,
თავს დაჰკიოდა კოლხთა ასულებს...
სამეგრელოში წვიმდა და წვიმდა,
აღარ ინდობდა რისხვით სიკვდილი,
ოქროს ნაწნავებს შეაჭრა მზე და
წეალს ვაატანა სუნთქვა მისდილი...
თბილისის მსრებზე იწვოდა წამი,
ლოცვას იხმობდა-ცამდე ასულებს,
თმებს იწეწავდა ივნისის ღამე
გადამხობილი კოლხთა ასულებს...
ნინო კემულარია



პრომეთე კავკასიონზე ქალღმერთი ბიას ღვაწლებით მიაჯაჭვეს

რატომღაც ყველას ეგონა, რომ თემის სახელი ბია ხილის სახელწოდებისგან მოდიოდა. მაგრამ უკვირდათ, რომ კომში თუ ბია, როგორც მას მეგრულ-იმერული ტომები მოიხსენიებდნენ, აქ არც ხარობდა არც მოიპოვებოდა და ამდენად, გაუგებარი იყო, ეს სახელი რატომ უნდა დარქმეოდა ამ ღვთის საუფლო სანახებს.

ძნელი იყო ადამიანებისთვის მათ მახსოვრობაში ათასწლეულების მიღმა დალექილი მოვლენების მოგონება. შორეულ წარსულში კი, ძალიან დიდი ხნის წინათ, აქ გამოიარა ქალღმერთმა ბიამ, რომელმაც ზევსის დავალებით კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა პრომეთე, მიუჩინა მას მოდარაჯე რაზმები და მძიმე მოვალეობის შესრულებისგან უკან მობრუნებულმა, დაღლილმა დაისვენა ზუსტად იქ, სადაც ოდითგან სალოცავი-ოხვამე იყო აგებული. აქედან ხელისგულზე მოსჩანდა ლამაზი თვალუნვდენელი ეგრისი, ეგრების ქვეყანა, რომელსაც შემდეგ კოლხეთად მოიხსენიებდნენ ბერძნები. დასვენების ადგილს კი შემორჩა ქალღმერთის სახელი-ბია.

იდუმალებით მოცულმა წარსულმა დავიწყების საბურველი გადააფარა მომხდარს და ის დავიწყებას მიეცა, სახელი ბია კი საუკუნეებს შემორჩა ქვაში ამოკვეთილ ღვთის წყალობად. დაუძინებელი მტრები იშვიათად თუ ბედავდნენ ამ ვიწრო და გაუვალი ტყეებითა და ეკალ-ბარდებით დაფარული ადგილების გადალახვას, სადაც გაუტყეხელი, ბედთან შეურიგებელი ადამიანები ცხოვრობდნენ.

საუკუნეების განმავლობაში ქალღმერთი ბია და მისი საქმე დავიწყებას მიეცა. მაგრამ ადგილს, სოფელს მისი სახელი შემორჩა.

ვინც ერთხელ ნახა, რა დაავიწყებს მას ზემო ბიის მთავარანგელოზის ეკლესიას - საყდარს, ახლა ოხვამეს - სალოცავს რომ უწოდებს მრევლი. კოლხეთსა და კავკასიონს შორის, ურთას მთის

გაგრძელებაზე, ყველაზე მაღალ გორაზე რომ წამომართულა ლამაზ გვირგვინად. სათუთად უვლიდა და მოკრძალებით მიაპყრობდა იმედიან მზერას მას მრევლი - ალექსანდრიები და ქორაიები, ლადუები და ბელქანიები, იოსავები და შონიები.

ბარიდან გზა ხობისა და ნოჯიხის გაგრძელებაზე, ღარღულას ვიწროებიდან მთავარანგელოზის მთის - ოხვამეს ფერდის გვერდის ავლით, ზემო ბიიდან ბია - საშონიოში ეშვებოდა, საიდანაც გადალახავდა ხობისწყალს და ხიბულის გავლით ზემო მთის სამეგრელოში - ლაკადაში გადადიოდა.

ზემო ბია და ბია - საშონიო იყო გზის ჩამკეცი. ჰოდა, აქაურები უფრო თავისუფლები, უფრო გაბედულები და დაუმორჩილებლები გახლდნენ. ბედი და მდგომარეობა მათ დიდ მოვალეობას - მომხვედურთათვის გზის ჩაკეცვას ავალებდა. ბოლოს ეს მოვალეობა ომერ ფაშას შემოჭრის დროს აღასრულეს, როდესაც ყოველნაირად შეუშალეს ხელი საფაფიოს გოლასთან დაბანაკებულ თურქის ჯარის ზემო სამეგრელოში შემოჭრას. რასაკვირველია, აქ სხვა გარემოებებმაც თავისი როლი შეასრულა, მაგრამ ადგილობრივი ხალხის დაუმორჩილებლობა და მზადყოფნა, შებმოდნენ შემოსეულ დუშმანს, გადამწყვეტი ფაქტორი შეიქმნა, რომ ხელი აეღო მას მტრული გარემოცვის ლაკადაში შემოსევისგან. ზემო ბია და ბია - საშონიო იყო მომხვედურისაგან ერთ-ერთი გზის ჩამკეცი.

ეკლესიის და ქვეყნის დამცველები ცხოვრობდნენ აქ ოდითგან.

მოძალბებული იყო მათში რწმენა და ძალა, თავგანწირვა და გამძლეობა თანამოძმეთა გადარჩენისათვის.

იცოდა ეს დადიანმა, როდესაც 1492 წელს აქედან შვიდი ოჯახი, მათ შორის შონიები ჩაიყვანა და დაასახლა ბიჭვინთაში ეკლესიის დასაცავად, მათვე ევალებოდათ წელიწადში სამჯერ სანთლის

დანთება. უბრალონი კი არ იყვნენ, ჯანიც ჰქონდათ და რწმენაც, შეეძლოთ დაეცვათ ეკლესია, დაენთოთ სანთელი და ალევლინათ ლოცვა ღმერთისადმი.

სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ სოფელი ზუგდიდი მაზრის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

1871 წლამდე ბიელების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ზემო ბიელები და მითუმეტეს, ბია - საშონიოს მკვიდრნი, ცხოვრობდნენ საეკლესიო მიწებზე და იყვნენ საეკლესიო გლეხები. მათთვის უცხო იყო მეზატონისადმი ყმობა და მორჩილება. გამომდინარე აქედან კი ღირსების შემლახავი წესებით ცხოვრება.

1871 წელს საეკლესიო მიწები გადაეცა ხაზინას და სათანადოდ, ეკლესიის გლეხები გახდნენ სახელმწიფო გლეხები. მაშინდელი მონაცემებით, საქართველოში ხაზინას გადაეცა 120 მლნ. მანეთის ქონება, მაშინ, როდესაც ეკლესიების რჩენა ჯდებოდა 2 მლნ. მანეთი. ამაზე აშკარა ყაჩაღობა იშვიათად თუ მოიძებნება მსოფლიოში. ეს რუსული იმპერიული მმართველობის „შედეგად“ რჩება მსოფლიო ისტორიაში.

1873 წლის მონაცემებით, გლეხები გარკვეული მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ იჯარით, არცთუ ისე მცირე იყო მათი კუთვნილი მიწის ფართი.

1873 წელს იოსე შონია და მისი შვილები ფლობდნენ 76 ქცევა მიწას. საკმაო მიწის მფლობელი იყო იოსავა ბეკოია, რომელიც 45 ქცევა დაბალ ვენახს და 24 სახნავს ფლობდა, ასევე იოსავა დათიკია და შევარდენი. საკმაოდ დიდი მიწის მფლობელები იყვნენ ბიგვავები სიკოია და თემურყვა, ჭითაშვილები - უტა და დავითი, შონიები - გიგი, პეპუ, ლაზარეკა, სიკო და ზურაბ კვაშილავები კი 460 ქცევა მიწას ფლობდა.

მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ის, რომ საეკლესიო (სახელმწიფო) გლეხებზე მეტ მიწებს ფლობდნენ საზატონო გლეხები. თავად ჩიჩუას გლეხები ბახვა ღაღუა 450 სახნავს და 562 ქცევა მაღლარ - ვენახს ფლობდა. ასევე დიდი მიწის ფართობების მფლობელები იყვნენ თავად ჩიჩუას გლეხები: ჭითაშვილი ბესიკი, აზნაურ ბერუნა სალაყაიას გლეხები - ბეჟან ხურცია, აზნაურ როსტომ ლოლუას გლეხზე, ბაბუკოცი ალექსანდრიაზე რიცხული იყო 800 ქცევა სახნავი მიწა. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ცხოვრება საამური ჰქონდათ ბიელებს, ბევრი იყო მცირემიწიანიც და ვისაც მიწა ჰქონდა, მას დასამუშავებლად



ჯოჯოხეთური შრომა უწევდა.

მეომარი და მორწმუნე ყოფილან ოდითგან ბიელები. მტერთან შეურიგებლობა და ღვთის რწმენა ყოფილა მათი ცხოვრების წესი, რასაც თავისი და ოჯახის რჩენისთვის ტიტანური შრომა ახლდა.

საუკუნეებით ყალიბდებოდა ბიელების საბრძოლო ტრადიცია. მე-19 საუკუნეში დადიანის ლაშქარში ოსმალების წინააღმდეგ ბევრმა ბიელმა გამოიჩინა თავი. განსაკუთრებული ვაჟაკობა გამოიჩინეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ბიელებმა, ბიდან განვეული იყო ათზე მეტი ვაჟაკი. წმინდა გიორგის ჯვრით იყვნენ დაჯილდოებული კალისტრატე ღაღუა და სამსონ ბიგვავა, ხოლო გრიგოლ ბიგვავა წმინდა გიორგის ორი ჯვრის კავალერი გახდა.

სოფლის მკვიდრთა საბრძოლო სული განსაკუთრებით გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომში, რომელიც მაშინ, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ბიელებისთვის სამამულო ომი იყო. ეს მერე გამოჩნდა, თურმე სხვა თავისი საქმისთვის რომ გვაბრძოლებდა. როგორც მონღოლების, სპარსელების, თურქების საქმეებს ეწირებოდნენ მაშინდელი ქართველები, ისე შეენიწნენ კომუნისტური რუსეთის მიზნებს. ქუდზე კაცი იყო გამოსული ამ პატარა თემიდან და იბრძოლეს კიდევაც. განვეული 156 კაციდან 88 შეენიწრა ამ ომს, კანონისა და ქვეყნის ერთგულნი:

ბრძოლის ველზე დაეცნენ ოთხი ჭითაშვილი, ხუთი ალექსანდრია, ექვსი ღაღუა, რვა ბიგვავა, რვა თუთბერიძე, ცამეტი შონია, 21 იოსავა. ომში დაიღუპნენ იოსავების გვარიდან ძმები ბალიკო და ვალერიანე, პეტრე და კოკი, ევსევი და ჟორჟი, კალისტრატე და ვლადიმერი. შონიები - კაპიტონი და ოთარი, ძეკი და დიანოზი, ალექსანდრეები - ჯვებე და კოლია, სამი ძმა თუთბერიძე - კაპიტონი,

ლეკენდა თუ სინამდვილე

იროდი და ესტატე, ბიგვავა - ჯოგო და იპოლიტე.

ბრძოლაში დაეცა დივიზიის შტაბის უფროსი, საქართველოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოადგილე ზინობი შონია. საინტერესოდ წარიმართა ლუსიონ შონიას ბედი - ის ომის პირველივე დღეებში ტყვედ ჩავარდა, შემდეგ გაიქცა და შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს, სადაც ის იტალიელების საყვარელი გმირი გახდა.

ომიდან დაბრუნებული თავის ოჯახთან ერთად შუა აზიაში გადაასახლეს.

შინმოუსვლელთა სია ნათლად მეტყველებს საქართველოს ამ პატარა სოფლის ტრაგედიაზე.

აი, ისინიც:

შინმოუსვლელ ბიელთასია, დაზუსტებული 1989 წელს (რიბითობა დაცულია დალუპვის შინასაბო მოსული შიჭყოზინეპავის დროის მიხედვით):

ბიგვავა სილოვან მიხეილის ძე
 იოსავა სარა გრიგორის ძე
 იოსავა ვალიკო ზალიკას ძე
 იოსავა ვალერიანე ზალიკას ძე
 თუთბერიძე კოლია ეგნატეს ძე
 თუთბერიძე ლუკიანე ონისიმეს ძე
 თუთბერიძე პარმენი ონისიმეს ძე
 ლადუა ლადი ჯაოს ძე
 ბარაშვილი იროდი ჯონდის ძე
 შონია ილიკო ბასას ძე
 შონია კაპიტონი ალექსის ძე
 შონია ოთარი ალექსის ძე
 შონია ევგენი ფილუს ძე
 შონია ძეკე გახუნიას ძე
 შონია დიანოზი გახუს ძე
 შონია არისტანო არტემის ძე
 ჩუბინიძე ალიოშა გიორგის ძე
 სალაყაია კალისტრატე იჯანჯას ძე
 ხარეზავა თეუფანე იოსების ძე
 შეროზია ვლადიმერი ბეგლარის ძე
 ფარღალავა ლადი არჩილის ძე
 გვალია ლევან მაქსიმეს ძე
 ლიპარტია ვალერიანე არჩილის ძე
 ქაჯაია კოლია სოლომონის ძე
 ალექსანდრია ჯვებე ივლიონის ძე
 ალექსანდრია ნოვე მარკოზის ძე
 ლომსაძე ვასო ლავრენტის ძე
 იოსავა ალიოშა იაკობის ძე
 შონია დურუ კონდრატეს ძე

შონია მიზა ზაქარიას ძე
 დოლბაძე სარა გვადის ძე
 თოდუა ბიქტორი ტარასის ძე
 ჭითაშვილი ამირანი ერმინეს ძე
 ჭითაშვილი თეოდოტი ისიდორეს ძე
 თუთბერიძე კაპიტონი ბესას ძე
 თუთბერიძე პროკოპი კალისტრატეს ძე
 თუთბერიძე ესტატე ბესარიონის ძე
 თუთბერიძე იროდი ბესარიონის ძე
 თუთბერიძე დიომიდე იონას ძე
 ბიგვავა ჟორჟი გრიგორის ძე
 ბიგვავა იროდი ილარიონის ძე
 ბიგვავა აბრამი ნიკოლოზის ძე
 ბიგვავა გრიშა ბესარიონის ძე
 ბიგვავა ამირანი ბესარიონის ძე
 იოსავა კაპიტონი ბერდეს ძე
 რეკვავა ივანე იოსების ძე
 იოსავა ვალოდია ვასილის ძე
 იოსავა აკაკი გრიგორის ძე
 იოსავა არტემი ბესარიონის ძე
 იოსავა ლადი მიხას ძე
 იოსავა პეტრე ვასილის ძე
 იოსავა კიკა ვასილის ძე
 ლადუა იონა ვლადიმერის ძე
 იოსავა ვალერიანე ლავრენტის ძე
 ბიგვავა ჯოგო გუდუს ძე
 ბიგვავა იპოლიტე გუდუს ძე
 შეროზია კოლია ივანეს ძე
 ქაქუთია ბუტა ივანეს ძე

კვაშილავა ნოე პეტრეს ძე
 ალანია გრიშა გრიგორის ძე
 ჭითაშვილი არველოდი თეიმურაზის ძე
 ლადუა ნოე აკაკის ძე
 ჭითაშვილი ნიკოლოზი ნიკოლოზის ძე
 შონია პარტენი მიხეილის ძე
 იოსავა ლევარსო სოგრატის ძე
 იოსავა ექვსევი პახულის ძე
 იოსავა კალისტრატე ბესარიონის ძე
 იოსავა ვლადიმერი ბესარიონის ძე
 ალექსანდრია დათიკო ივანეს ძე
 იოსავა ჯონდო იაკობის ძე
 ქორაია მირო მელიტონის ძე
 ქორაია ილია ივანეს ძე
 ლადუა არტემი პეტრეს ძე
 პერტაია ვასო ბესას ძე
 ალექსანდრია ალექსანდრე
 ანდრონიკეს ძე
 ლადუა იპოლიტე სოლომონის ძე
 ცხომარია შალვა ტარასის ძე
 დავითულიანი პარმენი ოქრუას ძე
 ტორჩინავა კონდრატე ივანეს ძე
 იოსავა თეუფანე მეთოს ძე
 ქაქუთია ვალიკო ბესარიონის ძე
 იოსავა შიო ბესარიონის ძე
 შონია ზინობი დუტუს ძე
 ლადუა იროდი სიმონის ძე
 შონია აპალონი მელიტონის ძე

მათ თავისი ვალი მოიხადეს ბრძოლის ველზე მტერთან შეჯახებაში.

აფხაზეთი და სამაჩაბლო კი დავკარბეთ. საქართველოს მთავარსარდლებმა — ჯერ შივარდნაძემ, შემდეგ კი სააკაშვილმა ვერ შეპირა ერთ მუშტად მტერთან საომრად ქართველნი. დავმარცხდით, საგოლოოდ საქართველო გაიყიდა და ადამიანები თავის ძველანაში დევნილნი გახდნენ.

თავისი მეომრული ტრადიციებისათვის არც შემდეგ უღალატიათ ბიელებს - სად არ ჩადგნენ სამხედრო სამსახურში იბრძოლეს - განსაკუთრებით ერაცში, ავღანეთში და თავი არ შეუმცხველიათ.

გამოდის, რომ სხვის ომში მაგრები ვართ.

მაგრამ ეს კიდევ საკითხავია.

ეს ისტორიაა.

ისტორია კი არ უნდა დაიკარგოს!

ბრიგოლ შონია

სვანიძის ქუჩიდან დაწყებული ტრაგედია

ვინ თუ ვიგი სვანიძე



გივი სვანიძე — ქართველი ჰიდროლოგი და ჰიდროენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საბჭოთა კავშირის პერიოდში ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სტოქასტიკური ჰიდროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ.

მისმა გამოკვლევებმა ჰიდროლოგიური პროცესების მოდელირების დარგში დასაბამი მისცა ახალ სამეცნიერო მიმართულებას მდინარეული ჩამონადენის რეგულირების თეორიაში.

გამოკვლევები აქვს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და ჰიდროენერგეტიკის დარგში. სვანიძემ შეადგინა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, ჟინვალის ჰესისა და მდინარეების არფისა და ელეგისის სვანის ტბაში გვირაბით გადაგდების პირველადი სქემები.

მის მიერ დამუშავებული მეთოდები ფართოდაა გამოყენებული ანგარა-ენისეისა და ენგურის ჰესების კასკადების დაპროექტების, აგრეთვე მინგეჩაურის, ბუქთარმისა და სხვა ჰესების საექსპლუატაციო გეგმების შედგენის დროს. სვანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომი „საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება“ (1960-1961, ტ. 1-10). სვანიძე ხელმძღვანელობდა მეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გზით ატმოსფერული ნალექების ხელოვნური სტიმულირების სამუშაოებს, კოლხეთის დაშრობის შესაძლო კლიმატური ცვლილებების პროგნოზირების საქმეს.

სვანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად განისაზღვრებოდა ჰიდროლოგიის, ჰიდროენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის პრობლემებით.





სწრაფად საქართველოს ამცნობს

სასათბურა მეურნეობა სოფელ ხაისში



8 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია და ახალი სასათბურე მეურნეობა 5,5 ჰექტარზე სოფელ ცაიშში, - პროგრამის „ანარმე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსებული სანარმო „შთლ სსოციატე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელ ედიშერ თოლორაიასთან ერთად დაათვალიერა.

სამთავრობო პროგრამის ფარგლებში „შთლ სსოციატე“-მა 2 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსება მიიღო.

„სანარმო შეიქმნა სახელმწიფო თანადაფინანსებით, ეს არის ქართული ინვესტიცია. სათბურში დღეში 10 ტონა

პომიდორი მოჰყავთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ რეგიონისთვის. ჩვენ მთავარ ამოცანად დავისახეთ ქართული წარმოების განვითარება და უმნიშვნელოვანესია, რომ ქართული პომიდორი ეტაპობრივად უკვე ანაცვლებს იმპორტირებულ დაბალხარისხიან პომიდორს. 3 ეტაპად ვითარდება რესურსი. გეიზერული წყლები და აქ არსებული რესურსი წლების განმავლობაში გამოუყენებელი იყო და ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ რესურსით დავინტერესდით. შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით 2-3 წელიწადში ჩვენ ჩავანაცვლებთ იმპორტირებულ ბოსტნეულს, რაც არის მართლაც ეროვნული საქმე“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ლარიბაშვილმა ინვესტორებს პროექტის წარმატებით განხორციელება მიულოცა და აღნიშნა, რომ ისინი არიან გამორჩეულად პატრიოტი ბიზნესმენები, რომლებმაც რამდენიმე მილიონი დოლარის ინვესტიცია სამშობლოში განახორციელეს.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სანარმოს 3 ჰექტარზე უკვე მიღებულია 150 ტონა პომიდორის მოსავალი, რომელიც გადის როგორც შიდა ბაზარზე, ასევე - ექსპორტზე.

დარჩენილ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მშენებლობა, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება. მოქმედ სასათბურე მეურნეობაში დასაქმებულია - 45, ხოლო მშენებარე ტერიტორიაზე - 120 ადგილობრივი.



სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საედიციონო ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს



საქართველოს ხელისუფლება აფხაზ ძმებს და დებს ჩ ჰეპატიცისგან განკურნების პირობებს შეუქმნის, - სიახლის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა დღეს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის მშენებლობის პროცესი საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგიენკო, მუნიციპალიტეტის გამგებელ ედიშერ თოლორაიასთან და მხარის გუბერნატორ ლევან შონიასთან ერთად დაათვალიერა.

მრავალპროფილიანი საავადმყოფო, რომელიც სოფელ რუხში ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივნიშვილის ინიციატივით შენდება, 2016 წლის აგვისტოში გაიხსნება.

„საავადმყოფოს მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს და კარკასის 70% პრაქტიკულად დასრულებულია. ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილი უმაღლესი სტანდარტების საავადმყოფო მოემსახურება არა მხოლოდ სამეგრელოს მოსახლეობას, არამედ ჩვენს აფხაზ ძმებს აქ უფასოდ მკურნალობას ვთავაზობთ. ასევე, ჩემი ინიციატივით აშენდება მულტიფუნქციური სავაჭრო კომპლექსი, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე აფხაზების მიერ. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენს შორის ნდობის აღდგენის პროცესი დაჩქარდეს და ეს ურთიერთობები ამაში დიდ როლს შეასრულებს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საავადმყოფოს მშენებლობაზე 154 ადამიანი დასაქმებული. პროექტის ღირებულება 41 მილიონ ლარზე მეტია. მშენებლობის დასრულების შემდეგ, სამედიცინო დაწესებულებაში, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის ჩათვლით, 600-მდე ადამიანი იმუშავებს.





სწოლია საქართველოს ამცნობს

„ჯვარი-ხორგას“ პროექტი ნალენჯისაში

ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველი სულხან ზუმბურიძე, კომპანია „ენერგოტრანსის“, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და ევროგაერთიანების წარმომადგენლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლევან შონია, ქალაქ ზუგდიდის გამგებელი ედიშერ თოლორაია, ნალენჯის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები გამგებელი გოგა გულორდავა, საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია, გამგებლის მოადგილე გიორგი ლუკავა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია ენგურჰესის დირექციის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები ნალენჯის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში, პროექტის „ჯვარი-ხორგას“ ფარგლებში ქვესადგურის „ჯვარი-500/200 კვ“ მშენებლობის დაწყებისა და რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობის კონტრაქტის გაფორმებისადმი მიძღვნილ ცერემონიას დაესწრნენ.



მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას ვიცეპრემიერმა და გამომსვლელებმა გამოხატეს ღრმა მნუხარება ქალაქ თბილისში დატრიალებული ტრაგედიისადმი და დამსწრე საზოგადოებასთან ერთად ნუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

500 კვ ქვესადგურის „ჯვარი“-ს მშენებლობას პორტუგალიური ფირმა ეფასეკი (EFACEC) ახორციელებს, ამავე პროექტის ფარგლებში 200 და 500 კვ ორჯაჭვა ხაზების მშენებლობის კონტრაქტორია ინდური ფირმა ყუოტი ცონსტრუცტიონ. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი 500 კვ-იანი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზი მთელ რეგიონში. აღნიშნულ კომპანიებთან კონტრაქტს ხელი მოეწერა 2014 წლის 29 აპრილს.

პროექტის მიზანია 220 კილომეტრიანი ქსელის იმედიანობის გაზრდა და დასავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია; ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება და გაზაფხულის წყალმეტობის პერიოდში საექსპორტო ელექტროენერჯის სიმძლავრეების უზრუნველყოფა; ელექტროგადამცემი ხაზით „კავკასიონი“ გადასაცემ და მისაღებ სიმძლავრეებზე სრული კონტროლის უზრუნველყოფა და მაღალი ძაბვის ქსელის საიმედოობისა და სტაბილურობის გაზრდა.

პროექტის „ჯვარი-ხორგას“-ს საერთო ღირებულება დაახლოებით 50 მილიონი ევროა. რომელსაც აფინანსებენ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (KfW), ევროპის განვითარებისა



და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD) და ევროკავშირის სამეზობლო -საინვესტიციო ფონდი (NIF) „ჯვარი-ხორგა“-ს პროექტის განხორციელება დაიწყო მიმდინარე წელს, ხოლო მისი დასრულება გათვალისწინებულია 2016 წლის აგვისტოში.

დღესვე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და მისი შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსი“ და ფინურ-ინდური კონსტრუქციული თ-ჩ-ს შორის ხელი მოეწერა ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამის მე-2 კომპონენტს, ყაზბეგის ურთიერთდამაკავშირებელ პროექტს - „500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას ქსანის ქვესადგურიდან სტეფანწმინდამდე“. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს მთავარი, 500კვ-იანი ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებას. პროექტის სავარაუდო ღირებულება 25 მილიონი ევროა და მას გერმანიის განვითარების ბანკი აფინანსებს. ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 100 კმ. იქნება, რომელიც დასრულდება 2017 წლის მაისს.

მედია-პროექტი ეტალონი

7 ივნისს საგანმანათლებლო მედია-პროექტი "ეტალონი" გამორჩეულ წალენჯიხელ ახალგაზრდებს მასპინძლობდა.

მოსწავლეებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, გამგებლის მოადგილე გიორგი ლუკავა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ლირა ღურწკაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიურმეცნიერებათა დოქტორი დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ს სრული პროფესორი, ექსპერტი-იაშა მესხია, პროფესორი, ფიზიკოსი -ჯემალ მებონია, პედაგოგები და მშობლები გულშემატკივრობდნენ მოსწავლეებს ამხნევებდა ბიჭუნათა ანსამბლი „ლაკადა“.

მონაწილეებმა გაიარეს სამი ეტაპი, რის შემდეგაც გამოვლინდა გამარჯვებული. პირველ ადგილზე გავიდა ქალაქ ჯვარის ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის 1 საჯარო სკოლის მოსწავლე ბუბა ჯახაია, მე-2 ადგილზე წალენჯიხის 1 საჯარო სკოლის მოსწავლე ალიკა სამელია, მე-3 ადგილზე წალენჯიხის 2 საჯარო სკოლის მოსწავლე მირიან კაკაჩია.

გამარჯვებულ ახალგაზრდებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ გადასცა ფულადი თანხები. პირველ ადგილზე გასულს 1000 ლარი, მეორე ადგილის მფლობელს-500 ლარი, მესამე ადგილზე გასულს-300 ლარი, დანარჩენ მონაწილეებს კი 100-100 ლარი. ასევე თითოეულმა მათგანმა საჩუქრები მიიღეს დარეჯან თვალთვაძისა და იაშა მესხიასაგან.

გადაცემა „ეტალონი“-ს წამყვანს სიმბოლური საჩუქარი გადასცა რესურსცენტრის უფროსმა ლირა ღურწკაიამ.



გადაცემის დასასრულს საინფორმაციო ცენტრ „ჯიხა“-სთან კომენტარი გააკეთა „ეტალონის“ წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა. რომელმაც ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე. მისი თქმით, აღნიშნული პროექტი 9 წელია გადის ეთერში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით. გადაცემის მიზანი წარმატებაზე ორიენტირებული მოსწავლე-ახალგაზრდების მოტივირება და პედაგოგების ნახალისებაა.



სრულიად საქართველოს ემცნობს

ახალი ბავშვთა ბაღი სალხინოში

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში ახლადგარემონტებული საბავშვო ბაღი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორიის მოადგილემ კახაბერ რუსიამ, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ გახსნეს. ახალი საბავშვო ბაღის გახსნას სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კეთილმოწყობილი სკოლამდელი დაწესებულება ამჟამად 140 ბავშვზეა გათვლილი და მომავალი წლისთვის მისი კონტიგენტი 200 ალასზრდელამდე გაიზრდება. წელს საბავშვო ბაღის პირველი სართული მოენყო, მომავალ წელს კი მეორე სართულის კეთილმოწყობა იგეგმება. საბავშვო ბაღის რემონტი და თანამედროვე ინვენტარით უზრუნველყოფა ადგილობრივმა ბიზნესმენმა ალექსანდრე ახვლედიანმა უზრუნველყო.



„ეტალონმა“ გამოჩინულ მარტვილელ მოსწავლეებს უმასპინძლა

ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, პედაგოგები და ახლობლები ჭიმაგობდნენ.



მარტვილს ანსამბლმა „იბერიამ“ ლაშაში საღამო აჩუქა

25 ივნისს ქყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრეს ლოცვა-კურთხევითა და კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ორგანიზებით მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში ფოლკლორულმა ჯგუფმა „იბერიამ“ ჩაატარა კონცერტი, რომელმაც მაყურებლის მონონება და აპლოდიმენტები დაიმსახურა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია, ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის დირექტორი გიორგი ყურუა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები. კონცერტი ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით.



„ბერძენი“ რეგიონის ჩემპიონი გახდა

მარტვილის საფეხბურთო სკოლის გუნდი „ბერძენი“ რეგიონის ჩემპიონი გახდა (12 წლამდე ასაკის ფეხბურთელები). 23 ივნისს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში გამარჯვებულებს თასი და მედლები გადასცა საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა გია გრიგალავამ, ამავე დღეს საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ჯესი სურმაევამ წარმოადგინა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სპორტული პროექტის პრეზენტაცია „სკოლა+სპორტი+პოლიცია“. პროგრამა მიზნად ისახავს მშვიდობიანი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, კომფლიქტების თავიდან აცილების წარმატებით გადაჭრას, სპორტის მეშვეობით ბავშვთა და მოზარდთა დანაშაულის პრევენციას. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა, რაიონული სამმართველოს უფროსი ირაკლი ფაცაცია, მუნიციპალიტეტის სხვა თანამდებობის პირები, საფეხბურთო სკოლის მწვრთნელები და აღსაზრდელები.



დიდი ჭყონი-
ლედეგა-გურქაში-
კინია-ნოღის გზა



სრულიად საქართველოს ამცნობს

სენაკი ნარკომანიის წინააღმდეგ

ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს - 26 ივნისს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დამოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით გამართული ღონისძიება: „ნარკომანია - მსოფლიოს უდიდესი უბედურება“. თეატრალური კომპოზიცია წარმოადგინეს ცენტრთან არსებული საბავშვო-საყვანილო თეატრ „ფიროსმანი“ ნორჩმა მსახიობებმა. წარმოდგენა, ეკრანზე ასახულ კადრებთან ერთობლიობაში, მოგვითხრობდა, თურატომ უნდა ვებრძოლოთ ამ საშინელ სენს, რომელიც ადამიანს პიროვნულ სახეს აკარგვინებს, ართმევს ყველაფერს - უფალს, ოჯახს, სამშობლოს... რომ ჯანსაღი ცხოვრების წესს ალტერნატივა არა აქვს. წარმოდგენის ბოლოს დამდგმელმა რეჟისორმა ვეფხვია გორგოძემ წამახალისებელი დიპლომებით დააჯილდოვა მონაწილეები.



27 ივნისს, „ეტალონში“ გამორჩეული სენაკელი ახალგაზრდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და თავიანთ ინტელექტუალური შესაძლებლობები წარმოაჩინეს.

მოსწავლეები ანსამბლ „სენაკმა“ გაამხნევა.



რეგიონის ზმა

თბილისში სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სენაკის არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომლებმა 10 000 (ათი ათასი) ლარი საკუთარი ხელფასიდან გადარიცხეს სახელმწიფო ხაზინაში, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისათვის შექმნილ სპეციალურ ანგარიშზე.



**შექმნილია ანგარიში
სტიქიის შედეგად
დაზარალებულთა
დასახმარებლად**

მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773271
(სხვა მიმღებთან ნებასთხოვთ თრანსფორმირების, ბრანდინგის ბარდამ)

სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის თემში, ადმინისტრაციული ცენტრიდან ციხეთის მიმართულებით, სავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, 1, 2 კმ-ზე მოეწყობა ასფალტო-ბეტონის საფარი, ხოლო 800 მ-ზე ჩატარდება აღნიშნული გზის ფრეზირება. სამუშაოები, რომლის ღირებულება 185 098 ლარს შეადგენს, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.



სამუშაოებს, რომელიც ივლისის თვის პირველ ნახევარში დასრულდება, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს „არქეოპოლისი“ ახორციელებს. სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ დაათვალიერა და აღნიშნა, რომ პრობლემა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას 20 წელია აწუხებდა, უახლოეს მომავალში მოგვარდება და ამ სიკეთით 400-მდე კომლი ისარგებლებს.

ქალაქ სენაკის განვითარების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს ქალაქში ერთ-ერთი ცენტრალური შემოსასვლელი გზის - ჭყონდიდელის ქუჩის სრული რეაბილიტაცია. პროექტი წარმოადგენს ქალაქის აღმოსავლეთის კომპლექსური განვითარების ნაწილს, რომლის ფარგლებში უკვე განხორციელდა ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი და ქალაქში შემოსასვლელი ესტაკადის აღდგენა.

პროექტი მოიცავს ქუჩის ასფალტირებას, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობას, დაზიანებული ღობეების აღდგენას, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციას, მიმდებარე სკვერების კეთილმოწყობას და ქუჩის ელ. განათებას.

სამუშაოების მთლიანი ღირებულება 755 000 ლარს შეადგენს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს „ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული 2 საამშენებლო კომპანია: შპს „შარაგზამშენი პირველი“ და ინდ. მენარმე „დათო ადამია“. პროექტის დასრულების შემდეგ ჭყონდიდელისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე განთავსდება შუქნიშნები. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შემდეგ ქალაქის ეს ნაწილი თვისობრივად ახალ დატვირთვას და განახლებულ იერს შეიძენს.



24 ივნისს, სენაკის კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა რეპრესირებული პოეტებისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო „წითელი მიხაკი“. საღამო დაიწყო თბილისში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიცემით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და საკუთარი შემოქმედება წარმოაჩინეს პოეტებმა: ვასილ ბესელიამ, ერეკლე სალღიანმა, ელდინო სალარაძემ, ბადრი ხურცილავამ, ნინო კემულარიამ. მაცურებელთა წინაშე წარდგინეს: სენაკის თეატრალური დასის მსახიობები, მხატვარი ნონა გიუნაშვილი ქვიშაზე ხატვით, ანსამბლი „სენაკი“, ანსამბლ „მეგას“ წევრები ქორეოგრაფიული კომპოზიციით. ნაკითხულ იქნა კომუნისტურ რეპრესირებულ პოეტების: პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლო მინიშვილის, მარი აბრამიშვილის ლექსები. კადრები ეკრანიდან მოგვითხრობდნენ მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებზე. ღონისძიების ორგანიზატორი იყო სენაკის კულტურის ცენტრი.



პიპი სისარულიძე



სუფიღს მარტობა

თურმე რა ძნელი ყოფილა სულის მარტობა. ნელ-ნელა მეცლებიან ხელიდან საყვარელი ადამიანები. ახალა ვხვდები, სამშობლოსაც ვკარგავთ. დავდივარ ქალაქში და ჩემივე ქალაქის ნოსტალგია სულს მიხუთავს. ვინა ვარ, რისთვის, ან ვისთვის ვცხოვრობ... იქნებ იმ იდეალებისთვის, რომლითაც გაჟღენთილი იყო ჩემი სული და სხეული? იმ სიყვარულისთვის, რომლისკენაც მივისწრაფოდი? იმ ძმაცაცებისათვის, რომლებმაც თავისი არსი ვინ იცის რამდენი წლის წინ დაკარგეს?

როგორ თვალსა და ხელს შუა შემომამბერდა ჩემი ქალაქი. საპნის ბუშტივით გაქრა სანუკვარი სიტყვა — „მეგობარი“.

ამას წინათ ტელევიზორით გავიგე, როგორ ერთხმად უპასუხეს უძველესი ტრადიციების მქონე იაპონელებმა კითხვას, თუ ვინ იყო მათთვის პირველი მეგობარი: ფული... ფული და მხოლოდ ფული...

ნუთუ გამირობით საქვეყნოდ განთქმული სამურაებიც ისევე მეგობრობდნენ ფულთან, როგორც მათი ჯიშისა და ჯილაგის შემარცხვენელნი, ეს ფულზე ქალივით შეყვარებული მომცრო ტანის უსახური ქმნილებები? — გავიფიქრე და მწარედ ჩავფიქრდი. ფიქრმა დიდხანს არ გასტანა და აი, მოხდა მოსახდენი: გორბაჩოვისა და შევარდნაძის „პერესტროიკა“, იოსელიანისა და კიტოვანის რევოლუცია. უცბათ დატრიალდა ქარბორბალა და ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. არ ვიცი, ჩემი ნაცნობი ვითომცდა კაი ბიჭის, ნუგოს სათვალეებიანი და სქოლიოზიანი ინტელიგენტი ძმა როგორ აღმოჩნდა მათ ბანაკში, როგორი მრისხანე

სახე მიიღო ცინიკური გამოხედვითა და აგდებული მანერით.

მახსოვს, სადარბაზოში შემხვდა, ვიფიქრე მომესალმებოდა და მომიკითხავდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ მხარზე კალაშნიკოვის ავტომატმოკიდებულმა თავისი შაშუბემა თვალებით ირიბად გადმომხედა, თითქოს მეუბნებოდა, გეყო, რაც ზრდილობიანად გექცეოდი, ვერა ხედავ, ჩემი დროც დადგაო — მერე თავი შეატრიალა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

ჩემთვის ჩამეცინა ამ ცხოვრებაზე და ისე, რომ სინანულიც არ გამომითქვამს, გზა განვაგრძე. ამ შეხვედრიდან სულ რაღაც ორ თვეში საკუთარი „მერსედეს—600“-ით მოსრიალდა. კარი ვილაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ლაქიებმა დიდი მონინებით გაუღეს. მაშინ მივხვდი პირველად, რომ ჩვენ ეს ომი კი არა, საკუთარი თავიც წავაგეთ. სიმართლე გითხრათ, იმ დღის შემდეგ აღარც მინახავს. ამ ამბიდან წელიწად-ნახევარში მეზობლებში ხმა გავარდა, რომ ვილაც ძალიან დიდ ჩინოსან რევოლუციონერებთან ჩაჭრილიყო ბიზნესში და უკანალიდანაც ეხმარათ ეს მთლიანად უკანალი.

ის დღე იყო და ის დღე, თვალთ აღარავის უნახავს. როგორც მერე გავიგე, ბაქოში გახიზნულა, აბა, ამ ამბისთვის თავს ხომ არ მოიკლავდა...

არაფერია, ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომლებმაც ყველაფერი დავთმეთ პირადი ინტერესებისათვის.

როცა ვიფიქრე, აღარაფერი გამაკვირვებდა ამდენი თაღლითობისა და ავაზაკობის მნახველს, აგერ სულ ახლახანს, ერთ-ერთ ეკლესიაში

ისეთი რამე ვიხილე, თმები ყალყზე დამიდგა. ვიფიქრე, ალბათ წნევამ ამინია და მოჩვენებები დამენყო-მეთქი. ვხედავ, მოძღვრის გვერდით ორი სტიქაროსანი დგას უცოდველი ბატკანივით. თვალები მოვისრისე, მერე რაც ძალი და ღონე მქონდა დავჭყიტე. ცხადში ვხედავ, რომ ერთ-ერთი მაღალი, დიდ უღვაშებ მოშვებული სტიქაროსანი ყოფილა მინისტრთა საბჭოს თანამდებობის პირი, რომელიც, ღმერთო მომიტევე და ქრისტეს გამცემ იუდას მაგონებდა ყოველთვის. რამდენჯერ მიფიქრია, ღმერთო თუ მართლა წესიერი მთავრობა გვყავს, ამ ნაძირალას აქ რა უნდა-მეთქი. მერე კი გავეცი პასუხი, მაგრამ რა... მეორეც ვიცანი, ერთ-ერთი რაიონის ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე. ამას სიცოცხლის მანძილზე ერთი-ორი კარგი საქმე მაინც ჰქონდა გაკეთებული. შემეცოდა საწყალი. ალბათ როგორ იტანჯებოდა ამ წმინდა კედლებში, როცა მოაგონებოდა რომ ჩემი ხალხი სწორედ ამ ბელლის ვირთხებმა მიიყვანეს ასეთ გაუსაძლის მდგომარეობამდე. გვერდზე გავიხედე და ვხედავ, დიდი სანთლებით ხელში დგანან ყოფილი მინისტრი, რომელმაც ხალხი ჯერ პირწმინდად გაძარცვა და მასხრად აიგდო, შემდეგ კი ტელეეკრანიდან სთხოვა, — ხალხნო, მიჭერენ ეს უნამუსოები და მიშველეთო. გვედრს ერთ-ერთი რაიონის ქურდბაცაცა, უტვინო გამგებელი უმშვენებდა. გამგებელს ეკლესიის თაღისკენ მოელერებინა ყელი და გაუნძრევლად იდგა.

ერთი პირობა გავიფიქრე, შეიძლება მართლაც მოინანიეს ცოდვები და ეკლესიურებიც გახდნენ. ვილაც იმასაც მეტყვის, შე კაი დედმამიშვილო, მარიამ მაგდალინელიც მრუშობდა, შემდეგ კი წმინდანად შერაცხესო, მაგრამ მაგაზე მე ჩემი პასუხი მაქვს — ქალი თავისი სახელით მრუშობდა, ამ ნაგვებმა კი ჩვენ გვიხმარეს და ნუთუ ახლა ასეთი ღვთისმოსავები გახდნენ? რადგან დიდი მამა აბრამის ბატკანი არც მე ვარ და ეკლესიაში მეც გავბედე შესვლა, ვინ იცის, იქნება მართლა გამოსწორდნენ ეს უბედურები.

ძალიან მალე საპირისპიროში დავრწმუნდი. ოთხივეს ერთ მილიონერთან შევხვდი წვეულებაზე. თურმე ერთ-ერთს დანარჩენები ტაძარში მიუყვანია. აღსარებაც უთქვამთ, უზიარებიათ კიდეც და ცოდვებისაგან განწმენდილან, როგორც თავად იძახდნენ. მეც დავიჯერე, მერე კი როცა ქეიფი ეშხში შევიდა და ნელ-ნელა შეზარხოშდნენ ჩვენი, ან ეკლესიური ყოფილი თანამდებობის პირები, სიმართლე გითხრათ, მათი საქციელით არამცთუ

შევძრუნდი, არამედ შევშინდი კიდევაც და რადგან მე თავადაც საკმაოდ ცოდვილი ვიყავი და არანაირი უფლება არ მქონდა ვინმეს განსჯისა, მეორე ოთახში გავედი, მუხლებზე დავეცი და უფალს შევთხოვე, ჩემთვის და მათთვისაც შეენდო ყველაფერი.

ნათქვამია, ისეთმა ძროხამ ჩამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ ინველისო. ამას ჩემს თავზე ვიძახდი, მაგრამ უფალო მომიტევე და რომ არ დამენერა, გული გამისკდებოდა.

სწორედ ამ ამბის შემდეგ, ვილაც ტიპმა მანქანიდან შემომიბღვირა, რა უფლება გაქვს, მოძრაობის წესებს რომ არღვევო. შევხედე, დანჯღრეულ მანქანაში ზის და ვაჟკაცობს.

ეს როგორ გამიბედე-მეთქი, მანქანა გადავუყენე, გადმოვხტი და ვეძგერე: შეეშინდა და „ზადნიში ჩაადო“. მე გამარჯვებული სახით დავბრუნდი უკან. როცა კარგა მანძილი გავიარე, გამახსენდა, როგორ შემომაგინა უკანასკნელი გამოშვების „ინფინტიდან“ ოთხმა ფულით გაყეყეჩებულმა ნაძირალამ. თავიდან ავენთე და მეც შევუკურთხე. მერე, როცა სიტუაცია დაიძაბა და კაიფში მყოფებმა იარაღზე გაივლეს ხელი, ტექნიკურად ჩავაგდე „ზადნიში“. რას იზამ, სული ტკბილია. ჰოდა, შე უტრაკო ყარაჩოხელო, თუ ვაჟკაცი ხარ, ყველგან უნდა ვაჟკაცობდე, სადაც გაგივა მარტო იქ კი არა, — შევუძახე ჩემს თავს და ალბათ გავეკიდებოდი კიდეც, თვალი რომ მომეკრა იმ დანჯღრეული ჟიგულის პატრონისათვის და რალა თქმა უნდა, ბოდიშსაც მოვუხდელი.

გამიხარდა, ღმერთს ჩემთვის რალაც სინდისი მაინც რომ ებოძებინა ამ უსინდისო ბრბოში.

ერთი ამხანაგი მყავს, ამირანი. ერთხელ, ადრეულ წლებში, ვილაც დაჩაჩანაკებული ტიპი მიუახლოვდა, გვერდზე გაიხმო და რალაც უთხრა. ცოტა ხანში ტკაცანის ხმა გავიგე. საწყალი კაცი ძირს გაგორდა. ვეცი, ნამოვაყენე და ტანსაცმელი გავუნმინდე. ჩიამ მადლობა მითხრა და სტადიონის გავლით დიდუბისკენ ნაჩანჩალდა. როცა ვკითხე, თუ რატომ გაარტყა, მიპასუხა, რომ კაცს ჩემი მეგობრისთვის ეთქვა — შენი მამა ვარო.

ჩემმა მეგობარმა, რომელიც მაშინ 25 წლის იყო, დედამისისგან იცოდა, რომ მამამისი ომში იყო დაღუპული. ახლა კი აღმოჩნდა, რომ უბრალოდ გაცილებულები ყოფილან.

— შე კაი კაცო, ასე როგორ გაიმეტე? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— ერთი მაგის მათხოვარი დედაც. — შეიკურთხა ამირანმა.

— აბა, ერთი ლაზიშვილს ეთქვა შენთვის, მამა ვარ შენით, თუ არ ეტყოდი, მამავ, ძვირფასო.

იმ დროში ლაზიშვილი ყველაზე მდიდარი კაცი იყო თბილისში. ჩემს ამხანაგს იუმორის გრძნობა არ აკლდა, ცოტათი ჩაფიქრდა და მერე სიცილით მითხრა, მართალი ხარო.

სირბილით დავენიეთ მიმავალს. „მამა“, დაუძახა იმ უბედურს და გულში ჩაიკრა.

მაშინ უკვე ფულს ვშოულობდი. ამ ამბის შემხედვარე ცუდად გავხდი. „პოზედა“ გავაჩერე. ჩემი მეგობრის მამა წინ ჩავსვით და მძლოლს ტანსაცმლის ბაზაში ვთხოვე მიყვანა. მმართველი ჩემი უფროსი მეგობარი იყო. კაცი იქიდან რომ გამოვიყვანეთ, ინგლისელი ლორდი გეგონებოდათ. მერე ტაბახმელის რესტორანში აღვნიშნეთ მამის პოვნა. როცა შევთვერით, ამირანს ვუთხარი, შენ რა გიჭირს, ცოცხალი და სალსალამათი მამა იპოვე. ჩემს ძმაკაცს პირდაპირ მკვდარი მამა ჩააბარეს — მეთქი.

— ეგ როგორო...

— როგორ და დედამისთან გაყრილს, მარტოობაში აღმოხდა სული და დამმარხველიც არ ჰყავდა. ჩემმა ძმაკაცმაც პირველად კუბოში ნახა და იმან დამარხა.

— ეგ მთლად უბედური ყოფილაო. — ჩაილაპარაკა ირონიულად ჩემმა მეგობარმა.

ეგ კიდევ არაფერი, ახლა ისეთი რამეს მოგიყვებით, შეიძლება გაგიჟდეთ. ეს ამბავი ერთ ქალაქელ კაცს გადახდა თავს და მთელმა ჩემმა სამეგობრომ კარგად იცის. იქნება ვინმემ დაწერა კიდევ ამის შესახებ, მაგრამ არ ვიცი და რადგან არ მინდა ეს ისტორია დაიკარგოს, მეც, ბოდიშის მოხდით, თქვენს სამსჯავროზე გამოვიტან.

ამ ბიჭს ერთმა კაცმა ათასი მანეთი გამოართვა, ტელეფონს დაგიდგამ სახლშიო. იმ დროში ტელეფონი ფუფუნებად ითვლებოდა და მხოლოდ თანამდებობის პირებს უდგამდნენ ურიგოდ. ჩვენნაირები მთელი ცხოვრება ელოდნენ რიგს. ჰოდა გახარებულმა, აქაოდა, ქრთამი მივეცი ერთ მაგარ კაცსო, იფიქრა, ორ კვირაში ტელეფონიც მიქნებაო.

ამ ამბის შემდეგ კაი ხუთი წელი გავიდა. ფულის გამომრთმევი ცნობილი თაღლითი გამოდგა და ამ ჩემმა მეგობარმა ვერაფრით დაიჭირა სახლში. ასე გადაგდებული ჯერ ბევრს იგინებოდა, მერე კი შეეგუა ბედს.

ერთხელ, კუკიის სასაფლაოზე ვართ, მეგობრის მამის დაკრძალვაზე. უცებ ჩემს ძმაკაცს თვალი

ერთი საფლავისკენ გაექცა.

— ბიჭო, გაჩერდი. ნახე ტო, ეს ჩათლახი, მე რომ გადამაგდო ტელეფონის ამბავში, მომკვდარაო, მითხრა და ქვაზე ამოტვიფრულ მომღიმარ სურათზე მიმითითა.

სიცილისაგან ჩავბჟირდი. — რა გაცინებსო? — მკითხა გაკვირვებულმა.

— რალა რა მაცინებს შე ჩემა, ეტყობა შენი ტელეფონის კაბელის ჩასაწყობად ჩავიდა მინაში-მეთქი. — სიცილით ვუპასუხე.

ერთი ქმრიანი ქალი ჩემი მეგობრის საყვარელი იყო, რომელსაც რომ არ მოგატყუოთ, რაც კი რამ უარყოფითი თვისება არსებობს, თითქმის ყველა ჰქონდა: უყვარდა სმა, მერე ჩხუბი, იყო სასტიკად ეჭვიანი, ზედმეტად თავმოყვარე, რომელიც პატივმოყვარეობაში გადადიოდა.

ხანდახან ამ თავის საყვარელ ქალს ისეთ დღეში აგდებდა, რომ ერთხელ, რომ არა ჩვენი მეორე მეგობარი, რომელიც ჩხუბის დროს მათ შორის ჩადგა, ალბათ დიდ უსიამოვნებაში გაეხვეოდა.

მაშინ ამ ქალს მივუბრუნდი და გულით ვუთხარი: — რა გინდა ამ გიჟისგან. შეეშვი ბოლოს და ბოლოს, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ შემოკვდომიხარ — მეთქი.


ქალს ჩემს ნათქვამზე ჩაეცინა და მიპასუხა: — გმადლობთ, ჩემო კარგო, რომ ჩემზე ასე შეგტკივა გული, მაგრამ რა ვქნა, ასეთი გიჟი და გადარეული რომ არის, სწორედ ამიტომ მომწონს და მიყვარს ასე, თორემ ინტელიგენტი, თბილი და პატიოსანი ქმარი სახლშიც მელოდებო.

ერთი ხანობა ცოლს ცოტა ჩემს მიმართ უყურადღებობა შევატყვე, გავიფიქრე რითი ვარ ჩემს ძმაკაცზე ნაკლები. ქალებს ეტყობა ასეთი მამაკაცები უყვართ, ჰოდა მეც კარგად გამოვთვერი რესტორანში და შუალამისას, კარებზე წიხლის რტყმითა და ერთი აყალმყალით შევედი სახლში. თან ცოლს შარი მოვდე, — როგორ გაბედე დაძინება, სანამ არ დავბრუნდებოდი-მეთქი. ერთი ლარნაკი იატაკზე დავანარცხე და ნამსხვრევებად ვაქციე. მაშინ კი იფეთქა ჩემმა ცოლმა: — გაეთრიე სახლიდან და თვალთ არ დამენახო.

მეც ვაჟკაცურად დედა შევაგინე, კარი გავიჯახუნე და სახლიდან გამოვედი.

ჩემი „ვაჟკაცობის“ გამო მეუღლე ერთი წელი არ მელაპარაკებოდა. მხოლოდ მამაჩემის წლისთავზე გამცა ხმა. მეც ბოდიში მოვუხადე უხეშობისთვის. მაშინ პირველად მივხვდი, რომ ქალის გამოცნობას კაცი მილიონი წელი ვერ შესძლებს.

„ოქიოს სანძისი“ და ძვერი კორხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა ანუ ხა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი



**თანაავტორი არგონავტაბა
სტარტი 1984 წლის 3 მაისს
საბარქნეთის ქალაქ პოლოსში –
ანტიკურ იოლკოსში აიღეს. სწორედ
აქედან დაიწყო თავის მოგზაურობა
იასონა და მისმა მეგობრებმა.**

ქრისტიანი „სამაგრალო“ იწყებს სერიულ გაშუქებას ერთი მათად საინტერესო ისტორიული ფაქტისა, რასაც „ტიმ სევერინის“ საქართველოში მოგზაურობა ჰქვია, ეს იქნება ოქროს სადმისის მაქიანული არგონავტაბის ისტორიული ფაქტის გამყარება და ყველაზე მეტი, მისი ისტორიული ფასეულობის ძიება. ვისაუბრებთ 3300 წლის წინ შექმნილ თუ არა ოიკუმენის კოლხეთის სანაპიროსთან მიმდინათ. ამ და სხვა საინტერესო დეტალებს არგონავტაბისა და „არგონ“ მოგზაურობის შესახებ მომდევნო ნომრებიდან შეიტყობთ.

ჩვენ მასალას კოლხეთის ნაპირზე ვეძებთ

არსებითად, საქართველო ჩვენი მოგზაურობის კულმინაციური წერტილია. ისტორიისა და არქეოლოგიის თვალსაზრისით აქ ყველაზე საინტერესო შეხვედრები და მიგნებანი გველის. ჩვენი მოგზაურობა იქნებ დეტექტივს ჰგავდეს, მაგრამ მისი მიზანი მეცნიერულია. ჩვენ ვეძებთ მითის გამოცანის გასაღებს და იგი აქ, კოლხეთის ნაპირზეა. დიდი იმედი გვაქვს, რომ მის პოვნაში ქართველი მეცნიერები დაგვეხმარებიან.

რას სწავს ტიმ სევერინი ოთარ ლორთქიფანიძეს

1984 წლის 14 მარტს ტიმ სევერინმა ლონდონიდან წერილი გამოუგზავნა პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძეს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს. სევერინი წერდა, რომ ქართველი მეცნიერის სტატიამ „ადრეული ანტიკური პერიოდის

კოლხეთი და მისი ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან“, რომელიც პოლონურ ჟურნალ „არქეოლოგიაში“ იყო დაბეჭდილი და რომელიც მას ირლანდიელმა აკადემიკოსმა ჯორჯ ჰაქსლიმ გააცნო, განამტკიცა მისი გადაწყვეტილება, ემოგზაურა არგონავტა ნაკვალევზე. „თქვენ კოლხეთის ისტორიის წამყვანი სპეციალისტი ბრძანდებით, — წერდა ტიმ სევერინი, — და იმედი მაქვს, რომ შევხვდებით იმ ადგილებში, სადაც თქვენ იკვლევთ ანტიკურ ქალაქებს, გარდა ამისა, იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით მიკენური საბერძნეთისა და კოლხეთის შესაძლო კონტაქტების შესახებ შედეგების შეჯამებაში“.

სევერინის აზრით, რატომ აინტერესებდათ ბარქნებს კოლხეთი

გზაში ჩვენ ალბათ არანაკლები სიძნელები გადავიტანეთ, ვიდრე არგონავტებმა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა სიძნელეს და გაჭირვებას აანაზღურებს ჩვენი კვლევა-

ძიების შედეგები. პირადად მე ვთვლი, რომ კოლხეთი ძველ ბერძნებს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული მეტალურგიითა და მედიცინის მაღალი დონით იზიდავდა. გასაოცარია, რომ ჩვენი მოგზაურობის დროს გამართლდა ძველი ავტორების თითქოს დაუჯერებელი ცნობები. მაგალითად — ცნობა „ჯადოსნურ ღამეულ ხმებზე“, რომლებიც იასონის თანამგზავრებს ესმოდათ. ასეთი ხმები ჩვენს ყურამდეც აღწევდა, როცა იმავე ადგილებში სასმელ წყალს ვიღებდით... საერთოდ, მოგზაურობის განმავლობაში ჩვენ ვცდილობდით, გავჩერებულიყავით ყველა პუნქტში, რომელიც კი მთაში იხსენიება, თუმცა ამათგან მხოლოდ ხუთი თუ ექვსი ადგილის იდენტიფიკაცია მოხერხდა.

ექსპედიციის მიერ განვლილ გზას და სევერინის მოსაზრებებს კოლხეთ-საბერძნეთის ურთიერთობებსა და მითის რეალობის შესახებ კიდევ დავუბრუნდებით.

მოგზაურობა—საორტი თუ გატაცება

ჩემთვის მოგზაურობა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული ღირებულებისაა. რაც შეეხება ჩემი ეკიპაჟის წევრებს, აქ მოტივები სხვადასხვაა: თავგადასავლების სიყვარული, ექსტრემალურ სიტუაციებში თავის გამოცდის სურვილი, ლტოლვა ახალი ადგილებისაკენ...

ეკიპაჟის შერჩევის კრიტერიუმები


პირველ ყოვლისა ისეთი ღირსებებით, როგორცა დათმენის უნარი, შრომისმოყვარეობა, იუმორის გრძნობა და კომუნიკაბელურობა. ასეთ ექსპედიციაში არც ძალა და ჯანმრთელობაა მეორეხარისხოვანი. მენიჩბეობა მეტად მძიმე შრომაა. ლაგერებზე ხომ კატორღელებს აგზავნიდნენ სამუშაოდ!

სიძნელეები გზაზე

ყველაზე დიდი სიძნელე ალბათ მაინც პირქარი იყო. ამ დროს ნიჩბების მოსმა უაზრობაა, ერთი დუიმიტაც ვერ წაინეგ წინ. მეორე უსიამოვნო უკიდურესობაა აბსოლუტური შტილი, უღრუბლო ცა და მომთენთავი სიციხე. ყოველივე ეს ეგეოსის ზღვაშივე განვიცადეთ. ასეთი შტილის პირობებში მენიჩბეები დღე-ღამეში თერთმეტ საათს მუშაობდნენ.

„არგო“ გამთმენავლობის თვალსაზრისით

„არგო“ არსებული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე აიგო და ამიტომ, მე ვთვლი, იგი არაფრით განსხვავდება მიკენური ეპოქის ხომალდებისაგან. მაგრამ არის ერთი დეტალი: მაშინ ხომალდები ერთი მთლიანი მორისაგან მზადდებოდა, რაც დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ორი




ძირითადი ნაწილისგან ნავის შეკვრა გამორიცხული არ არის. ჩვენი „არგო“ ოცნიჩბიანი გალერეაა. მისი სიგრძე 16 მეტრამდეა, სიგანე — 3 მეტრია, ტვირთამწეობა — 3 ტონა. „არგოს“ წყალშიგი ნახევარ მეტრამდეა. თითოეული ნიჩბის სიგრძე 4 მეტრს უდრის. მართვა ხორციელდება ორნიჩბიანი საჭის მეშვეობით. ხომალდი აგებულია კუნძულ სამოსზე დამზადებული ალექსის ფიჭვისაგან ყოველგვარი ლურსმნის გარეშე, იმ ტექნოლოგიით, რომლითაც ალბათ თვითონ არგო სარგებლობდა. კორპუსი ცხვრის ქონითა და ფიჭვის ფისით არის გაყენილი. „არგო“ ინგლისელი კოლინ მიუდისა და ამერიკელი ტომ ვოსმერის პროექტით ააგო ბერძენმა ოსტატმა, კუნძულ სპეცოსის მკვიდრმა ვასილის დელიმიტროსმა. ჩვენი 12-მეტრიანი ანძა მთლიანი ხისაგან არის დამზადებული. „არგოს“ აქვს ერთი სტაქსელი და ერთი გროტი, რომლის ფართობი 28 კვადრატული მეტრია. „არგოს“ იალქნისა და ცხვრის მოხატულობამაც ტომ ვოსმერს ეკუთვნის. მან ეს გრაფიკული მოტივები ანტიკური ნახატებიდან ისესხა.

როგორ ათავსდნენ ღამეს მოგზაურები

თავიდან გადაწყვეტილი გვექონდა, ღამე ნაპირზე გავვეთია, მაგრამ შემდეგ კარგ ამინდს დავეშურეთ და ზურგქარის შემთხვევაში გზას ვაგრძელებდით. როცა ნაპირს მივადგებოდით, ეკიპაჟის ნაწილი „არგოზე“ იძინებდა, ნაწილი — ნაპირზე. ჩვენი ხომალდის ფართობი ეკიპაჟის წევრთა რაოდენობაზე რომ გავყოთ, თითო საძინებელი ადგილი ერთ მეტრამდე იქნება სიგრძეში და დაახლოებით ცხრა დუიმი სიგანეში. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

საგანგებო მაცივრები „არგოზე“

საგანგებო მაცივრები „არგოზე“ არ გვექონია, ახალი პროდუქტების მარაგს ნავსადგურებში ვივსებდით. აქვე ვიღებდით სასმელ წყალს. წყალს სამ სამოცდაათლიტრიან პლასტმასის ავზში ვინახავდით. ეს მარაგი მთელ ეკიპაჟს ყოფნიდა ნიჩბებით ყველაზე ინტენსიური მუშაობის დროსაც კი. როცა ტალღები და ქარი გაგვიტაცებდა ღია ზღვაში, ამ მხრივ მაშინაც მშვიდად ვიყავით.



სანავიგაციო ხელსაწყოები „არგოზა“

გვაქვს კომპასი, მაგრამ იგი, ისევე როგორც მამველი ნავი, უკიდურეს შემთხვევისათვის, უფრო თეორიული უსაფრთხოების მიზნით და საპორტო ხელისუფლების დასამშვიდებლად გვჭირდება. მე გეზს მუდამ მზისა და ვარსკვლავების მიხედვით ვაგნებ. სინოპთან ამოვარდნილმა გრიგალმა ზღვაში ძალიან შორს გაგვიტაცა, შავი ღრუბლებით დაფარულ ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა, მაგრამ მე ბიჭებს კომპასზე ფიქრიც კი ავუკრძალე. გზა ნაპირისაკენ ტალღების ხასიათით მივხვდით.

ამინდის პროგნოზი

ამინდის პროგნოზით არ გვისარგებლია. ამინდის ადგილობრივი ნიშნები კი ამხელა გზის მანძილზე იცვლება. ის ნიშნები, სადაც ჩვენ საბერძნეთში ვსარგებლობდით, არც თურქეთში გამოგვადგა და აქაც, როგორც ვხედავ, უსარგებლოა. მაგრამ რაკი ძირითადად ნაპირების გასწვრივ მოვდიოდით, ამინდს ხმელეთის მიხედვითაც განვსაზღვრავდით.

სავერინის ინტარისის სჯერო პარკნულ-

ქართული კონტაქტების რეალური არსებობაა

სევერინი დაინტერესდა არის თუ არა საქართველოში ბერძნულ-ქართული კონტაქტების რეალურად არსებობის რაიმე სხვა დამამტკიცებელი საბუთი სწორედ გვიანბრინჯაოს ხანაში. სამწუხაროდ, პირდაპირი არქეოლოგიური მასალა, ისეთი, როგორც, ვთქვათ, მრავლად გვაქვს უფრო მოგვიანო ხანისთვის, ამ პერიოდიდან არ მოგვეპოვება და ეს არც არის მოულოდნელი: ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ბერძენთა მოგზაურობებს კოლხეთში ერთობ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ბუნებრივია, იშვიათად თუ დატოვებდნენ ნივთიერ კვალს. ამ დროს ბერძენებს არც თავიანთი სამოსახლოები დაუარსებიათ კოლხეთში და რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა დაუმყარებიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასე, რომ, ძნელია მოველოდეთ პირველი კონტაქტების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალის აღმოჩენას, თუმცა მომავალი კვლევა-ძიებისას არც ეს არის გამორიცხული. ტიმ სევერინს არგონავტების მითთან დაკავშირებით მრავალი საკითხი

„ანუხებდა“ და ცდილობდა, მითში არეკლილი დეტალები თუ სიტუაციები ყოველმხრივ განეჭვრიტა. მას საგანგებოდ აინტერესებდა კოლხეთში ცხვრის კულტის არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა. ამ მხრივ მან შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. განსაკუთრებით დაინტერესდა ბრინჯაოსაგან დამზადებული და ძველი ნელთალრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული ვერძისა თუ ვერძის თავის გამოსახულებებით რაჭიდან და სვანეთიდან. საინტერესოა, რომ გამომწვარი თიხისგან დამზადებული ცხვრის მშვენიერი ქანდაკება, რომელიც ძველი ნელთალრიცხვის XII საუკუნით თარიღდება, სევერინის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ვანის ნაქალაქარზეც აღმოჩნდა. უაღრესად მნიშვნელოვნად მეჩვენება ტიმ სევერინის დაინტერესება არგონავტთა მითის ერთი პერსონაჟით — ოქროს სანმისის მოდარაჯე გველეშაპით. იგი ქართულ ფოლკლორში გულმოდგინედ ეძიებდა რაიმე ანალოგიურ მოტივს. ამ თვალსაზრისით მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებობს გველის, როგორც ოჯახისა და კერიის მფარველი კულტი. ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კოლხური ნამოსახლარის — „ნამჭედურის“ დათვალიერებისას ტიმ სევერინმა ნახა გათხრებისას მოპოვებული თიხის ნივთები, რომლებიც გველის გამოსახულებითაა შემკული. სევერინმა საგანგებოდ ჩაინიშნა ეს ფაქტი და გამოთქვა ვარაუდი: ის, რომ ძველ საქართველოში სწორედ გველია ოჯახის მფარველი, გასაგებს ხდის იმასაც, თუ რატომ მაინცდამაინც გველეშაპს დაევალა ოქროს სანმისის, როგორც ქვეყნის ყველაზე დიდი საუნჯის, დაცვა და მფარველობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბერძნული მითის ამ ასპექტისათვის აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია, ყოველ შემთხვევაში, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და ამ თვალსაზრისით საკითხიც არავის დაუსვამს. ტიმ სევერინის ეს უაღრესად საყურადღებო მოსაზრება ღირსშესანიშნავია იმით, რომ იგი ხაზს უსვამს ბერძნული მითის ძველ კოლხურ ფესვებს. ბოლოს უნდა ვთქვა, რომ ტიმ სევერინის მოგზაურობა საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და მომავალში იგი უთუოდ დიდ როლს შეასრულებს საქართველოს ისტორიის არგონავტიკასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის საქმეში. რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს სევერინის ექსპერიმენტის შედეგად ყველა საკითხი გადაიჭრა და სადავო აღარაფერი დარჩა. პირიქით — ამ ექსპერიმენტის მნიშვნელობას მე უფრო იმაში ვხედავ, რომ დაისვა მრავალი ახალი საინტერესო საკითხი, რომლის გადაჭრაც ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და ლინგვისტების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს.



მრავანდობის გამარჯვებული ნესტორ ესეხუასა და გლდანელი კუდას აშხაპი

XIX საუკუნის საუკეთესო მოჭიდავე ნესტორ ესეხუა დაიბადა 1864 წელს, სოფელ სორტაში (სენაკის მუნიციპალიტეტი), 18 წლის ნესტორი როტმილდის ქარხანაში მუშაობდა ბათუმში. გაბრიელ ბარჯაძე თავის წიგნში „საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია“ წერს: „მევალე მედუქნეს ნესტორისათვის უთქვამს: ქარხნიდან კალა მომიტანე და ვალსაც იმაში გაგიქვითავო. იმ დღეს ნესტორს ნაბდის ქვეშ ამოუჩრია ორი ყუთი კალა და ქარხნიდან მალულად გამოუტანია. მედუქნესთან მისულს მის ცხვირწინ დაუგდია კალის ყუთები. დიდხანს ეჯაჯგურა, თურმე, მედუქნე სათითაოდ იმ ყუთებს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. თვითონ ნესტორს დაუწყვია ისინი სასწორზე, 16 ფუთი და 2 გირვანქა გამოსულა... ვალიც გაუსტუმრებია და კიდევ დიდხანს უსაუბრია იმ დუქანში მუქთად... კალის ხარჯზე“ 1885 წელს ბათუმში ჩამოვიდა ცნობილი მოჭიდავე კულა გლდანელი რომელმაც ბათუმში იმ ხანად მოასპარეზე 12 მოჭიდავე ბეჭებზე

დადო, სწორედ ამის მერე სთხოვეს ნესტორს გლდანელთან შეხვედრა, ნესტორი დათანხმდა და 1885 წლის 14 აპრილს ბათუმში ერთმანეთის წინააღმდეგ იჭიდავეს. იმ დროისთვის საუკეთესო მოჭიდავემ კულა გლდანელმა და ახალბედა მოჭიდავემ სორტელმა ნესტორ ესეხუამ. გამარჯვება ახალბედა ნესტორ ესეხუას დარჩა, მოგვიანებით მათი დაპირისპირება ტრადიციულ კლასიკად გადაიქცა, დაუზუსტებელი ინფორმაციით ისინი რამოდენიმეჯერ (4 ჯერ) შეხვედნენ ერთმანეთს და ყველა ამ შეხვედრიდან გამარჯვება დარჩა ნესტორ ესეხუას. მათი ყველაზე გახმაურებული ჭიდაობა შედგა 1886 წლის 1 აგვისტოს თბილისში, აკაკი წერეთელმა ლექსიც კი უძღვნა ამ შერკინებას (იხ. სტატიის ბოლოს) „იტალიელების ბაღში“ გამართულ ორთაბრძოლაზე იმდროინდელი პრესის გამოხმაურებამაც არ დააყოვნა. გაზეთი „დროება“ კი წერდა: „ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს მოწინააღმდეგეებმა. შეტაკებაში პირველმა გლდანელმა ნააქცია ესეხუა, მან ისე რიხიანად დაატრიალა ის, რომ ყველას ეგონა, მინიდან მოწყვეტს და ჰაერში აისვრისო, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავე გამაგრდა და საპასუხოდ დასცა მოწინააღმდეგე პირქვე, მაგრამ კულა მალე ნამოხტა ფეხზე, მივარდა ესეხუას გამხეცებული და კისრულით დასცა მიწაზე,

მხოლოდ ერთი მხარით. ესეხუას დამარცხება ვერც ამჯერად შესძლო გლდანელმა, ისინი ორივენი წამოდგნენ ფეხზე და განაგრძეს ჭიდაობა. კულამ მეორედ გადმოიტანა კისრულზე ნესტორი უფრო უკეთესად, ვიდრე პირველად, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მისი საბოლოოდ დამარცხება. ისინი ხელმეორედ წამოდგნენ ორივენი ფეხზე და მესამედ შეეჯახნენ ერთმანეთს. ახლა კი გაცეცხლებული მეგრელი ვეფხვივით მივარდა კულას და დასცა ბეჭებზე, რითაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება“.

ნესტორ ესეხუა პერსონალურად იყო მინვეული პარიზის საერთაშორისო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც მსოფლიოს 300-მდე საუკეთესო მოჭიდავე მონაწილეობდა. დამარცხა 10 მეტოქე, რისთვისაც ჯილდოდ გადასცეს 1000 ფრანკი და ოქროს ფეტონი. როგორც საქადრაკო წრეებში ამბობენ, ნესტორი გამოირჩეოდა სისწრაფით, ღონით, მოქნილობით. იშვიათი ოსტატობით ასრულებდა კისრულს, ჩოქელას, შუა სარმას, გარეკაურს. მისი საყვარელი ხერხი ჭიდაობის დროს იყო დაჩოქილი შუა სარმა, ე.წ. „ცაცია“, ანუ გარე ფეხი და კისრული. ნესტორს დამარცხებული ჰყავს იოსებ ცერაძე, გიორგი ლურიხი, კლიმენტი ბული, კაზბეგ გარა,

ფალავანი

სარი სულიმანი, ჰაჯიბაზ გულიკოვი და სხვები. ესებუამ სოხუმში დაამარცხა გამორჩენილი ნორკინი, თბილისში მურომეცი, კონსტან-დემარე და სხვები. სტამბოლში ჩატარებულ შეჯიბრზე ტურნირის გამარჯვებული გახდა ნესტორ ესებუა, სტამბოლში გამართულ შეჯიბრზე საინტერესო ცნობა აქვს მოყვანილი გაბრიელ ბაიჯადეს: „საჭიდაოდ გამოდიოდნენ პოლონელი პეტ-ლიზინსკი, ბულგარელი ნიკოლა პეტრე, თურქი ჰაეზაში, ქართველი ცერაძე, მაისურაძე, მიდელაური, ესებუა, აგრეთვე ემილ ფორი და სხვები. საჭიდაოდ უხმეს ბერძენ გოლიათს, ოცი ფუთის ამნე, 132 კილოგრამიან პანიას კუტალიანის და ნესტორ ესებუას. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთთავად დამრგვალებული ბერძენის პირისპირ ხმელ-ხმელი, გრძელ-მკლავა ესებუა ცოტა სასაცილოდ გამოიყურებოდა. დაიწყო თუ არა ორთაბრძოლა, ნესტორი იერიშზე

გადავიდა. ვეფხვივით უტევდა მეტოქეს და მალიმალ ჩოგბჯენში გადაჰყავდა ბერძენი გოლიათი. მეოცე წუთზე ესებუამ ბერძენის მარჯვენა მკლავი იგდო ხელთ, უცებ შემოტრიალდა, კისრულზე წამოიღო და ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩაზე. ტაშის გრილმა შეაზანზარა დარბაზი. სულთანის ვაჟმა ნესტორს 50 ლირა აჩუქა. მსაჯებმა კი ძველი დროის წესის თანახმად, ქართველ ფალავანს მკერდზე საპატიო ლენტი გაუკეთეს“. 1887 წელს კულა გლდანელი კვლავ ინვესს საჭიდაოდ ნესტორ ესებუას. 1888 წლის „ივერიაში“ (№235) ნესტორი წერს: — ოთხჯერ დავძლიე გლდანელი და მეხუთეტი წიდაობა საინტერესო არ იქნებოდა. ხოლოგაზეთ ივერიის №113-ში ნესტორი წერს: — თბილისში მას ყველა მომხრე ჰყავს, ქუთაისში თუ უნდა, იქ მობრძანდეს, როცა უნდოდესო“. მიუხედავად გლდანელ — ესებუას მეტოქეობისა, ისინი როგორც ამბობენ, ბოლომდე მეგობრებად

დარჩნენ. მრავალი წარმატებული წიდაობის შემდეგ ნესტორ ესებუამ საჭიდაო არენაზე გასვლა შეწყვიტა და ხელი მწვრთნელობას მიჰყო. ის სხვადასხვა დროს წიდაობებს აწყობდა — სამტრედიისში, სურამში, ჭიათურაში, ქუთაისში, ზესტაფონში და სხვაგან.

ნესტორ ესებუა გამოირჩეოდა ასევე ქველმოქმედებით 1919 წელს წიდაობიდან აღებული ფულიდან 400 მანეთი შესწირა სენაკის სკოლის მშენებლობას. ფულით ეხმარებოდა ნითელი ჯვრის საზოგადოებას.

1931 წლის აგვისტოში მშობლიურ სოფელ სორატაში მოსახვევში ეტლი გადაუბრუნდა, რის შემდეგაც მიღებული დაზიანებებით 2 თვის შემდეგ გარდაიცვალა. ის დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში.

ლექსი, რომელიც აკაკი წერეთელმა გლდანელისა და ესებუას „იტალიელების ბაღში“ წიდაობას მიუძღვნა, პაოლო იაშვილმა ლიტერატურულად აღმოაჩინა.

თეიმო სასურია

აკაკი წერეთელი

„ეს ქუთაისში შეიტყვეს მუბლში იტკლიცეს ხელია, წუთუ ქართლსა და კახეთსა ვაჟკაცი შემოელია, აქ რაღაც ცბიერობაა უთუოდ საეჭველია უნდა უშველოთ როგორმე თუ სადმე მისაშველია. როგორ თუ მთელი ქვეყანა მან ასე აიბუაო? მოდი გავგზავნოთ აქედან მეგრელი ესებუაო. ისე დაბლაგვოს, იცოდეთ, როგორც რომ დანის ყუაო. მაშინ იტლინკოს გლდანელმა, მერე ისწავლოს ჭკუაო“. მიიხმეს ნესტორა. სთხოვეს. „მაშინ წამოდგა ნესტორა სიმდაბლით მოუბარია: უფროსები ხართ და ჩემგან არ გეკადრებათ ვარია. თუ გავიმარჯვე აქავე ჩამოვალ მომცინარია, თუ ვერა კომბალს ავიღებ და წავალ სადაც ცხვარია“.

„გლდანელის საპირდაპიროდ აქ ვილაც ჩამოსულაო, მაგრამ ყურებსაც არ იბერტყს ჩვენი ნაქები კულაო, ამბობს, ამისი ტოლები აქ ბევრი გალახულაო, და ესეც ისე გავებნტო როგორც რომ ბამბის ქულაო“. გაიმართა წიდაობა.

„გამოდის კულა გლდანელი მხარბეჭა და შიშველია, ჯეირანივით ნავარდობს, მაღლა ხტის როგორც შველია, ტანზედაც ერბო წაუსვამს, რომ ვერ მოავლონ ხელია, გარს ახვევია ამქრები სუყველა მისი მშველია. მეორე მხრიდან მეგრელი გამოძვრა როგორც ტურაო, რომ დაინახა გლდანელი ლომივით მიაშურაო. მკლავებში ხელი მოავლო და ერბომ აიცურაო. კინაღამ უცბად გაფუჭდა და ბედმა მოიმდურაო.“

განზე გადუხტა მატყუარს, სისწრაფით მოიშორაო. ამბობს, ხელს ველარსად ვკიდებ, რა ცუდათ მომადორაო. მივარდა, გულში ხელი ჰკრა, ბურთივით გააგორაო. ვეფხვივით ზურგზე დაახტა, დათვივით მოიტორაო. ქვეშ დევს, ფართხალობს

გლდანელი, ცდილობს ზე წამოდგომასა. ზემოდან მტკვალავს ნესტორა, თითქო იღებდეს ზომასა. თან ეუბნება დაცინვით: კულა წულარ სწევ შრომასა, უფროსილდი თან არ გადაყვე შიშსა და გულისწყრომასა. ფეხებში ხელი მოჰკიდა, თავდაღმა დააყირაო, საცეცხლურივით დაკმევა ოთხკუთხივით დაუპირაო. იმისი მაყურებელი სუყველა გააკვირაო, კულა გლდანელის მომხრენიც უწყალოდ აატირაო“.

ეს გაგანჯვება ჩემს საქართველოს მიუძღვნენ, მიხროდა, ამ მძივე ღლაჯუი მძირაჲ მაინს გაგახარაჯინა ხალხი

„ვარჯიშუა ვიყავი, როდესაც სტიქიის ამბავი გავიგე, ყველა მოდიოდა და გვისამაძირებდა. მართლაც ძალიან მძივე იყო ამ ყველაფრის, განსაკუთრებით კი, დაღუპული ადამიანების შესახებ ინფორმაციის მოსმენა. დღის განმავლობაში მუდმივად ვეცნობოდი სიახლეებს, - გვინტერესებდა, რა ხდებოდა. შოკში ვიყავით...“

ქართველმა ტანმობარჯიშუმ, სალომა ფაშავამ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარე პირველ ევროპულ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 17 წლის ქართველი გოგონა მაყურებლის წინაშე ორიგინალური ნომრით წარდგა. მან ჯგუფ „ბანის“ „რაჭული“ მუსიკის ფონზე, ქართული ცეკვის ილეთებით გაფორმებული ნომერი წარმოადგინა, რამაც მაყურებელი აღაფრთოვანა. ტანმობარჯიშუმ ბაქოს თამაშებზე საქართველოს მე-7 მედალი მოუტანა. მხატვრულ ტანმობარჯიშოში სალომა ფაშავამ 4 დისციპლინაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის საუკეთესო შედეგი გაფრთხილდა ასპარეზობისას არჩენა.

ჩვენ საქართველოში დაბრუნებულ გოგონას დავუკავშირდით და შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ...



სალომა ფაშავა:

- მთელი გულით და სულით ვემზადებოდი, ძალები არ დამიზოგავს, რადგან ეს გამოსვლა ძალიან საპასუხისმგებლო იყო. ძალიან მინდოდა საქართველო მესახელებინა. მწვრთნელებმაც ძალიან დიდი ამაგი ჩადეს ჩემში, მადლობა მათ. ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემს ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია. კიდევ ორსახეობაში მქონდა გამარჯვების შანსი, - რგოლითა და გურუებით, მაგრამ... ის, რომ მედლისთვის ქულები არ მეყო, ჩემმა მწვრთნელებმა მსაჯების "დამსახურებად" მიიჩნიეს, - ითქვა, რომ მათ რატომღაც ქულები ვერ გაიმეტეს. თუმცა, ბაფთით ვარჯიშში მესამე ადგილი ავიღე.

- რამდენად ძლიერი მეტოქეები გყავდათ?

- ყველა, განსაკუთრებით კი ვინ ფინალში გავიდა, ძალიან ძლიერები იყვნენ და თავდაუზოგავად იბრძოდნენ მედლისთვის, მაგრამ არცმეადმიზოგავს თავი, მინდოდა, იმ საშინელების შემდეგ, რაც 13 ივნისს თბილისში დატრიალდა, ცოტათი მაინც გამეხარებინა ჩემი ხალხი. ვარჯიშზე ვიყავი, როდესაც სტიქიის ამბავი გავიგე, ყველა მოდიოდა და გვისამაძირებდა. მართლაც ძალიან მძივე იყო ამ ყველაფრის, განსაკუთრებით კი, დაღუპული ადამიანების შესახებ ინფორმაციის მოსმენა. დღის განმავლობაში მუდმივად ვეცნობოდი სიახლეებს, - გვინტერესებდა, რა ხდებოდა.

შოკში ვიყავით...

- ცნობილია, რომ სანაპიროზე ტანვარჯიშის დარბაზიც დაიტბორა...

- დიახ, ამიტომაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლები გვთავაზობდნენ, ჩვენთან ჩამოდი და ივარჯიშეთო... შეიძლება ითქვას, რომ ჩემი გამარჯვება ჩემს საყვარელ ქვეყანას მივუძღვენი, რომელმაც ძალიან დიდი ტკივილი გადაიტანა. როდესაც ბაქოს ტელევიზიას მივეცი ინტერვიუ, ძალიან აღელვებულმა ვიუთხარი, რომ ეს გამარჯვება დიდი განსაცდელის წინაშე მდგომ საქართველოს ეძღვნებოდა.

- ამ მუსიკის ფონზე რატომ გადანყვიტეთ გამოსვლა?

- „ბანის“ „რაჭული“ ჩემი ქორეოგრაფის შვილმა გვიჩაჩა... მანამდეც კი მქონდა მოსმენილი, მაგრამ კიდევ ერთხელ რომ მოვუსმინე, მივხვდი, რომ კარგი გამოვიდოდა. მართლაც მუსიკამ მთელი დარბაზი აიყოლია და სანახაობრივადაც ლამაზი გამოვიდა.

- დიდი ხანი ვარჯიშობთ?

- დიახ, ათი წელია. 7 წლის ვიყავი, როდესაც ტანვარჯიშით დავინტერესდი. ეს ასაკი დაგვიანებული იყო, ამ სპორტისთვის, მაგრამ ძალიან მიყვარდა და ბევრს ვვარჯიშობდი.

- სამომავლოდ რას გეგმავთ?

- აგვისტოში, ყაზანში მსოფლიო თასისთვის ვემზადები, სექტემბერში კი, რიო-დე-ჟანეიროში სალიცენზიო ჩემპიონატია. ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო საკუთარ თავზე, ოლიმპიადის ლიცენზია აუცილებლად უნდა მოვიპოვო...

საქართველოს ცკივილი



ეთერ კაკულიას

ერთ მშვენიერ დღეს ეთერი
როცა ცოტათი შევთვერი...
თვალწინ დამიდგა თვალები
არავის, რომ აქვს შენ ფერი.
მოვალ და მუხლმოდრეკილი
როგორც ნათებას გემთხვევი.
ცირაზე, სვედის სიმღერით
ჩემს საქართველოს ესვევი.
მე კი მონა ვარ ტყვედ ქმნილი,
და შენს ბადეში ვესვევი.
შორით ჩამესმა ძარღვებში
კოლხური სოხბის კივილი,
არანდროს გამხდარიყავი
შენ საქართველოს ტკივილი.

გივი სინარულიძე

ეთერ კაკულია - საქართველოს დამსახურებული არტისტი. მღეროდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრში. 1964 წლიდან საქართველოს ფილარმონიის სოლისტია, ამავე წლიდან მღეროდა სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ "რეროში". 1986 წლიდან ტელერადიოკორპორაციის სოლისტია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.


2014 წლის 29 ნოემბერს ეთერ კაკულიას ფილარმონიის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. მომღერალმა ვარსკვლავის საზეიმო გახსნის დროს სატელეფონო მილოცვა საქართველოს პატრიარქისგან მიიღო. ეთერ კაკულიას თავისი შემოქმედების მანძილზე სხვადასხვა კომპოზიტორების მიერ დაწერილი 200-მდე სიმღერა აქვს შესრულებული, ასევე შესრულებული აქვს ჰიმნები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონზე.



იესო ქრისტეზე თავისი უკანასკნელი სიტყვები დასდეთ, ანუ წინააღმართულ ენაზე წაბმისთქვა

ვინ მოიპარა ოთხი ათასწლოვანი ისტორია?

— დიას, რა თქმა უნდა, ისე „კარგად და ლამაზად“ მოგვეპარეს, მეტი რომ არ შეიძლება. ალბათ, „უნდა მოპარულიყო“ კიდეც. ზურაბ რატიანი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის იმისთვის, რომ ერს თავის მოპარული ისტორია დაუბრუნდეს, რომელიც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა დანერგეს — სამმა წმინდა მთის წმინდა მამამ. ესენი ერის მნათენი არიან. ეკლესიაში მნათემ სანთელი თუ არ აანთო, ვერ მიიღებ, ვერ დაინახავ მის სიკეთეს. მნათე არის, ვინც უნდა გაგინათოს. ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა „გაგინათეს“ სიმართლე, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოშობა. ბევრისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა — არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს მისი წარმომავლობა არ გაეგო. მოგახსენებთ, რომ სულ ცოტა 4 ათასი წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე. ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი, მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ გვსმენია, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა? აქვე განვმარტავ, რომ ეს, ოთხი ათასი წლის მძინარესთან შედარებას ნიშნავს, რადგან თითოეული დღე მეტაფორულად ერთი ათას წელს უდრის. რას ნიშნავს ყოველივე,



განა ეს დამთხვევაა?! 4 ათასი მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას. ეს ოქროს გასაღებია, რაც ამ ტრიადამ მოგვცა. არსებობს ასეთი დიდებული წიგნი „საქართველოს ისტორია“, ავტორები: ივანე ჯავახიშვილი, სვიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. გახსოვთ, ალბათ, უფალმა სვიმონს პეტრე დაარქვა. ასე მგონია, ჯანაშია, რომელსაც სვიმონი ერქვა, სწორედ ის პეტრეა. ფრესკებზე პეტრეს ხელში გასაღები აქვს, პავლეს — ხმალი. ეს ის ოქროს გასაღებია, რომელსაც საკეტს მთარგმნე, გახსნი ამ კარს და გაოცდები იმით, რაც თვალწინ გადაგეშლება. იმ დროის მეცნიერებაში ამ წიგნმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შემდეგ ასეთი წიგნი აღარ დანერგია. საინტერესოა ისიც, რომ ეს წიგნი ქართულად, რუსულად, თურქულად და ინგლისურად დაინერა. იგი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს. ბერძნები, ასირიელები, ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარმომავლობა ესაა შუმერული, ხეთური, სუბარული, პელაზგური, ლაზური, იბერიული... ინდო-ევროპიელი ბერძნების მიერ იქნა დაპყრობილი ის ტერიტორია, სადაც წინარე-ქართველები — პელაზგები ცხოვრობდნენ და შემდგომ საბერძნეთი დაერქვა. მათ ველური ტომი იპყრობს და მისი კულტურის ბოლომდე მითვისება, მიტაცება ხდება. ასევე მოხდა ინდოევროპიელი რომაელების მიერ იმ ტერიტორიის დაპყრობა, სადაც წინარე ქართველები — ეტრუსკები ცხოვრობდნენ. მას

შემდეგ, რომი დაერქვა. მოხდა წინარე ქართველთა კულტურის მითვისება. ეტრუსკებიც იგივე წინარე ქართველი ტომები არიან, მაგრამ რომაელებმა თქვეს, რომ მათი კულტურა მთლიანად ეტრუსკების კულტურიდან გამომდინარეობს. ევროპის ჩრდილოეთით წინარე-ქართველნი ბასკების სახით, იბერიის ნახევარკუნძულზე სახლობდნენ. უცნაური რამ მივიღეთ, არა?! უფრო აქეთ თუ წამოვალთ, საინტერესოა ხეთები. სხვათა შორის, ხეთები და სუბარები წინარე ქართული ტომებია, ხეთებს ეგვიპტის ფარაონთან ბრძოლა აქვთ. ქრისტეს მოსვლამდე 1478 წელია და ხეტუშილ III ხეთების მეფეა. მან ეგვიპტე დაიპყრო და დაპყრობილ ფარაონს ორთვლიანი საომარი ეტლი და ცხენი აჩუქა. ეგვიპტელები წერენ, რომ ცხენი და ეტლი ნანახი არ ჰქონდათ. საინტერესოა ისიც, რომ ასურული (ლურსმული) დამწელობით ხეტუშილ მეფე იძახდა სიტყვებს, რასაც დღეს ხშირად ვიმეორებთ — „ჩემან მზემ“ ვენახი მოვიყვანე, წყლის არხი გავიყვანე და სხვა. თუ სხვები დაპყრობისას წერდნენ — გავანადგურე, გადავწვი, ქართულ ხასიათებში სხვა რამეს ვაწყდებით. ეს მცირე მაგალითებია, რის გამოც ისტორიის ეს ნაწილი დაგვიმაღეს. მე და ზურაბ რატიანი შევხვდით განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს. იგი ახალგაზრდაა და შეიძლება არ სცოდნოდა ამ წიგნის შესახებ, რადგან აკრძალული იყო. ეს წიგნი 1953 წელს აკრძალეს და ქართულ სკოლებში აღარ ისწავლებოდა. აუუხსენით, რომ იგი სკოლებში უნდა დაბრუნდეს, რათა საქართველომ გაიგოს, ვინ ვართ. თუ საძირკველი დანგრეულია, რაც არ უნდა ტრაქტორი, საჭმელი იყიდო, ქვეყანას ვერ ააშენებ. ნაყოფანებით კაცობიობის ისტორიაში ქვეყანა არსად აშენებულა. ეს იდეა მინისტრს მოეწონა და იმედი მაქვს, ერს დაუბრუნდება ის, რაც მოპარეს. აქ თვალნათლივ ჩანს ქართველების წარმომავლობა, საიდან მოდიან, რამხელა ისტორია აქვთ. აქ საუბარია ქრისტეს მოსვლამდე 4 ათას წელზე, თორემ ეს რომ კარგად დააღაგო, 7-8 ათასი წელი გამოდის.

რა ენაზე წარმოსთქვა ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები?

ქალდეელები ის ხალხია, ვინც ღვინო და პური მოიყვანა. სხვათა შორის, პურს ძველბერძნულად პურეი ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური, ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო, გესმით, რას ვამბობ? ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?!

ბერძნებს ლევან სანიკიძე ისტორიაპარვიებს ეძახდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან. პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ, მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს რატომ, იცით? — ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იასონი რომ შემობრძანდა, პირველად ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს. ენის თაობაზეც ცნობილი არაფერია.

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: — ელი, ელი, ლამა საბეჭთან. სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამბობს: ელოი, ელოი. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ ელი თქვა, ჩათვალა, იესო სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არაა. მაშინ გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის. არადა, ეს ნამდვილად არაა ებრაული ენა. მაშ რა არის? — ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედაენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები, ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, თუ რატომ — ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ: ქალდეელებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს ქრისტეს შემდეგ მოღვაწეობდა, ამბობს: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო. ესე იგი ყოფილა განსხვავება?! ამას მე, პეტრე ხომ არ ვიგონებ? კიდევ ერთ რამეს დაფუკვირდეთ. იოანე პეტრიწის მასწავლებლები — იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ — ქალდეური, ელინური და ებრაელოური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფრომოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ. დამა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა.

ღვთისმშობელი ქართველი იყო?

— დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე კუპლეტში წერია — შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო. წესით, ხომ უნდა თქვას ისრაელისაო. რატომ არ ამბობს? — ამას ახლავე აგისხნით — მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება — მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებააო. კოლხებმა უფრო მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. ამ დროს ისტორიის მამას ჰეროდოტეს არ უჯერებენ და იგი „ბიცოლად“ გამოჰყავთ. ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება — შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედაენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ: ქალდეველების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც თურქეთში თავი დღემდე შემოინახა. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს ლამა სულხან-საბას მიხედვით — ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს — მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე — მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდევეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო. გარდა ამისა, სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე — ქალდეა, გვარი — ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ: ზანები, ჭანები, ლაზები.

რომელი ერი გადარჩება მეორედ მოსვლისას?

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება: კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია: მეფე პანიკაში ჩავარდა. წარწერა ვერავინ წაიკითხა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც. ერთადერთი ამის წაიკითხვა ქალდეველმა შეძლო, იქ ეწერა — „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“. მართლაც,

იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს. უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ, ნაბუქოდონოსორი ეუბნება თავის ხალხს, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. მათ იესოს შესახებ იცოდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი მესამე თავში ამბობს: მაშინ მანევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხნო, ტომენო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ, ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება. გამოდის, რომ იუდეველი და ქალდეველი სხვადასხვაა. თავი II — ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს. თავი XIII — სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა, რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს. რა თქმა უნდა, ქალდეურ ენაზე. კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება. ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა. სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გაცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით — სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

რა ეწერა ფესტოს დისკოზე?

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით — ახალი ნინო — ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს ძველი ნინოს არსებობას. რას ნიშნავს ეს? — აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა ნინოს ფუძე ნინ — ფონეტიკური სახესხვაობაა ნენ და ნან-ის. ქრისტეს მოსვლემდე ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ — ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კემბალი უჭირავს. ბერძნები ზევსის დედას მიამსგავსებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ არ არსებობდა. სიტყვა ღვთისმშობელი მარიამამდე

ადრინდელია. აქვე ერთ საინტერესო ამბავს მოგახსენებთ. საბერძნეთში ფესტოს სასახლეში 1800 წელს დისკო აღმოაჩინეს, რომლის ნაკითხვა ვერავინ მოახერხა. ეს მოახერხა ერთმა ქართველმა მათემატიკოსმა მეცნიერმა კვაშილავამ. ეს იყო არა ლურსმული, არამედ იეროგლიფური დამწერლობა. შეამოწმეს დისკოს წარმომავლობა და იგი 2000 წლის აღმოჩნდა ქრისტეს მოსვლამდე. ამ დისკოზე ნენ-ნანას საგალობელი ეწერა, ანუ ახალი ნინო ძველი ნინოს მოსახელეა.

საინტერესო ამბავს ვაწყდებით გილგამეშის ანშისშიც. ეს 1500 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძველი ალთქმა. ესაა შუმერულ, ხეთურ, არქაულ და ხურიტულ ენებზე დაწერილი. აქ საოცარ ამბავს ვაწყდებით — დედა-ღმერთს-ღვთისმშობელს ერქვა (ნინ)-ხასარგ, მეორეს — (ნინ)-ტუმ, მესამეს — ინ-(ნანა). ეს დამთხვევებია? მინდა გითხრათ, რომ ღვთისმშობლის მიძინება დღევანდელი თურქეთის, ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე, გნებავთ, შემდგომ ტრაპზონის იმპერიის, იზმირიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მოხდა. ბევრმა არ იცის, რომ ეს ისრაელში არ მომხდარა. ესეც ერთგვარი მინიშნებაა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია წინარე ქართულია, მერე მოდიან ძველბერძნები, ინდო-ევროპელები. ჩვენ ქართველები იაფეთური მოდგმის ვართ. ახლა რომ საუბრობენ ევროპისკენ სვლაზე, ეს ხომ სასაცილოა — თავად ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ. ქართველებს თვითმმართველობა მე-11 საუკუნეში ჰქონდათ, მსოფლიოში ამას მხოლოდ 50 წლის სტაჟი აქვს.

დაადგენილია, რომ ქართული ენის აგებულებას არაფერი აქვს საერთო არც ინდო-ევროპულ, არც სემიტურ, არც ურალურ-ალტაურ, კერძოდ, თურქულ ენებთან და რომ ის ხეთურ-იბერიულ ენების და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის აგებულებას ემთხვევა (ჯავახიშვილი, ჯანაშია, ბერძენიშვილი). აღმოჩნდა, რომ ქალდეურის ნივთიერი და სულიერი კულტურა შუმერული, ხეთური, სუბარული ცივილიზაციის ორგანული ნაწილია. დასახელება ძველი ბერძნული წყაროებიდანაა ცნობილი. დიალექტური ფორმის სახით. ბევრი ქვეყნის შვილი ვერ წარმოთქვამს ქ-ს და ხალდეას ხმარობს. ქალდეას და ქალდას ორივე სახელწოდებას ერთნაირი ფუძე აქვს, დაბოლოებებით განსხვავდებიან, თუმცა ორივეს დაბოლოება წმინდა ქართულია. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ჭოროხის სათავეში მცხოვრები ქალდეების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია. ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდა. რიგი სომხური წყაროები მოწმობენ,

რომ ქალდეელები იგივე ჭანებია, რომელთაც დღემდე შემოინახეს თავი თურქეთში შევიწროების მიუხედავად.

ებრაელი ღმერთი — იაჰვე თავის ხალხს ქალდეურად ლოცვისკენ მოუწოდებდა(!)

ახლა ყველაზე მთავარს გეტყვით, საიდანაც უკვე ძალიან დიდ ამბავს ვაწყდებით. ეს რომ წავიკითხე, გავოგნდი. თალმუდში წერია — თუ ებრაელს სურს, რამე სთხოვოს ღმერთს, ანგელოზებისგან საიდუმლოდ, ქალდეურად უნდა ილოცოსო. ამას ამბობს იაჰვე — ღმერთი ებრაელთა, რადგან მარტო მან იცის ეს ენა. ანუ იაჰვე ეუბნება ებრაელებს, ქალდეურად ილოცეთო. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეელებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. თალმუდში ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად თავიდან ბოლომდე ძველ ქალდეელებისგანაა ნასესხები. რა ვქნათ, არ ვთქვათ ეს? მიუხედავად იმისა, რომ შოთა გვეუბნება — არ შეამოკლოთ ქართული, არა ჰქმნათ სიტყვამცირობა, ანუ გვეუბნება, თქვენი ენა არ დაამციროთო. კარგად მოგესხსენებათ, დღეს რაც დავმართეთ ჩვენს ენას.

ნოემბერში ვაპირებთ ფოთში ფაზისის აკადემიასთან ერთად, საერთაშორისო კონფერენცია ჩავატაროთ, სადაც ეგვიპტის, ათენის, რომის, ოქსფორდის, სტამბულის, ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისის უნივერსიტეტები მიიღებენ მონაწილეობას. აქ ინახება მასალები კოლხეთის ცივილიზაციის და ამ საკითხების შესახებ. სხვები ამბობენ ჩვენზე — ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. ჩვენ არ ვამბობთ. დიდი მეცნიერი ფრიდრიხ ძეშიმი გვეუბნება, ღმერთების ენა იბერიული ენაა და იგი ქართულ ენაშია შემონახულიო. ყველა გვატყუებს ამ ენასთან დაკავშირებით? სხვათა შორის, შვეიცარიის უნივერსიტეტმა ტუტანჰამონის მუშია შეამოწმა და მისი დეენეში ქართულ-კოლხურ-კავკასიურს დაემთხვა. რაშია საქმე? — ამას ხომ ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეც გვეუბნება — ეგვიპტის კულტურის წარმომავლობა კოლხურიაო. თუ ჰეროდოტეს ამაზე დავეთანხმებით... გვესაუბრება მწერალი პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი:

სიტყვა "ისტორია" ლათინურია და ქართულად ქვეყნის ამბავს ნიშნავს. არაფერი გამოგივა, თუ ფესვები დაკარგე, თუ არ იცი, რა ჯიშის ხარ. ეს თუ ნაიშალა, არათუ სახელმწიფოს, ოჯახსაც კი ვერ ააწყობ. სახელმწიფოს გამართვა ამის გარეშე წარმოუდგენელია, ბითურია ყველაფერი.

„თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების ამენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია...“

21-ე საუკუნის სიღრმე სასწაული და უზვიადობა უმეფე ტახტზე

„შვილი 6 წელი არ გვყავდა, ახლა კი უკვე პატარა იონა გვყავს, უბედნიერასი მშობლები ვართ და გვჯერა, რომ უფალი კიდევ მოიღვას მოწყალებას - შვილი კიდევ გვეყოლება.“

შარშან 50-მდე წყვილი ტაძარში მადლობის სათქმელად ავიდა. თუმცა შვილიერების მთხოვნელი თითქმის ათასამდე წყვილი იყო. ნელსაც დაითვლიან ტაძრის მსახურები თუ რამდენ ადამიანს აუსრულა უფალმა თხოვნა.

„8 წელი შვილი არ მიჩნდებოდა, მრავალწლიანი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა, იმედი გადანურული მქონდა, როდესაც ამ ტაძრის ამბავი გავიგე. მე და ჩემმა მეუღლემ პატარა აკვანი დავამზადებინეთ და ხუთშაბათ დღეს ავედით ტაძარში, ვილოცეთ და ვეზიარეთ კიდევ. სასწაული მოხდა, ჩვენი ლოცვა უფალმა შეისმინა. უბედნიერესი ქალი ვარ, ჩემი მეუღლე ამ ამბის შემდეგ სტიქაროსანი გახდა... დღეს კი მადლობის სათქმელად ამოვედი, ძალიან მალე შვილი გამიჩნდება.“ - მითხრა შარშან ნაჩხურობის დღესასწაულზე თბილისიდან მარტვილის რაიონის, სოფელ სალხინოში ჩამოსულმა ქალბატონმა...

ბრწყინვალე შვიდეულის ყოველ ხუთშაბათს, გამთენიიდან მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში მანქანების ნაკადი არ წყდება. ნაჩხურობის დღესასწაულის აღსანიშნავად და მოსალოცად ათასობით ადამიანი იმ ტაძარში მიდის, რომელსაც საუკუნეებია უშვილოთა შემწედ მიიჩნევა. ნაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია სოფლის ცენტრიდან 7 კილომეტრის მოშორებით, მადლობზეა აგებული. აქ განსაკუთრებული ხალხმრავლობა ბრწყინვალე შვიდეულის კვირას, აღდგომის მეოთხე დღეს არის. ამ დღეს ტაძარში ძირითადად უშვილო წყვილები ადიან. ტაძრამდე სამანქანო გზაა, მაგრამ ხალხის დიდი ნაკადის გამო გზას პოლიცია კეტავს და მომლოცველები გრძელ აღმართს ფეხით მიუყვებიან. უშვილო წყვილებს პატარა, ლამაზად მორთული აკვნები მიაქვთ. ზოგს აკვანში თოჯინა



ჰყავს. იქ ბევრ ფეხშიშველ ადამიანს ნახავთ, ყველას თავისი ალთქმა აქვს და მის შესრულებას თავისებურად ცდილობს. არც მათ ავინწყდებათ მადლობის თქმა, ვისაც უფალმა სასწაული მოუვლინა და შვილი აჩუქა. ისინი სამადლობელის სათქმელად პატარა ბავშვებით ხელში ადიან და უფალს მადლობას სწირავენ. ზოგს შესანიერი მიაქვს დაპირებული ცხვარი ან ფრინველი მიჰყავს.

ამ უძველეს სალოცავზე ლეგენდა ამბობს: ერთხელ, სოფლის ახლოს, ყანაში გლეხს ცოლმა სადილი მიუტანა. გლეხმა თავის მწირ ტრაპეზზე უცნობი მგზავრი მიიპატიჟა. ცოტა ხანში მასპინძელმა შეამჩნია, რომ ღვინო და საჭმელი კი არ ილეოდა, მრავლდებოდა. მოულოდნელად მგზავრმა გლეხს სთხოვა, იცეკვეო. ისიც დათანხმდა. ამის შემდეგ უცნობი თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. გლეხი მიხვდა, რომ სასწაულებრივი ხილვის ღირსი გახდა... სასულიერო პირების აზრით, ლეგენდა შესაძლოა, ანგელოზის გამოცხადებაზე მიუთითებდეს. იმასაც ამბობენ, სამეგრელოდან სვანეთს მიმავალ ანდრია პირველწოდებულს ამ ადგილას ქვის ჯვარი აღუმართავს, ტაძარი კი მოგვიანებით, მე-7 საუკუნეში აუგიათ. ჩვენამდე

განახლებულმა, მე-18 საუკუნის დარბაზულმა ეკლესიამ მოაღწია.

შოთა სხულუხია ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც უფალმა სასწაული მოუვლინა და შვილი აჩუქა:

- ამ ულამაზეს სოფელში დავიბადე და გავიზარდე. ამ ტაძარში ბავშვობიდან დავდიოდი ყოველ ნაჩხურობას, მაგრამ მაშინ არ მექონდა გათავისებული ტაძრის მნიშვნელობა. წლები გავიდა, დავოჯახდი, საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი... მე და ჩემ მეუღლეს შვილი 6 წელიწადი არ გვყავდა, თუმცა იმედი არასდროს დამიკარგავს. რამდენიმე წელი მე და ჩემი მეუღლე შვილიერებას ვთხოვდით ნაჩხურუს მთავარანგელოზს... ექვსი წლის თავზე უფალმა ჩვენი თხოვნა შეისმინა და პატარა იოანე გვაჩუქა, მადლობა ღმერთს ამისთვის, მადლობა ნაჩხურუს მთავარანგელოზს, მადლობა ამ მონასტრის ბერებს ლოცვისთვის... როგორც უკვე გითხარით, ახლა უკვე პატარა იოანე გვყავს, უბედნიერესი მშობლები ვართ და გვჯერა, რომ უფალი კიდევ მოიღებს მოწყალებას - შვილი კიდევ გვეყოლება. ბევრი ახლობელი, მეგობარი, ნაცნობი თუ უცნობი გამხდარა ამ ხილული სასწაულის მხილველი. მიხარია, რომ ამ ტაძარს ყოველ წელს ემატება მრევლი და მომლოცველი. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან, უკვე ბევრმა იცი, რომ ამ ტაძრის მადლი 21-ე საუკუნის ხილული სასწაულია. აქ თუ წყვილი რწმენით და უფლის სიყვარულით ადის, არ არსებობს არ აუსრულოს უფალმა ვედრება. არიან ისეთები, რომლებიც ამ ტაძრის მადლით მრავალშვილიანებიც გახდნენ.

ამხელა წყალობისთვის მადლობას ყოველთვის ვეუბნები უფალს. უშვილო წყვილებს კი, მინდა ვუთხრა, გნამდეთ სასწაულის და ეს აუცილებლად მოხდება. იყო შემთხვევა, 17 წელი არ ჰყავდა წყვილს შვილი, რა არ გააკეთეს, მაგრამ ამოდ... ამ ტაძარში ერთ ჩვეულებრივ ხუთშაბათს ავიდნენ და... მათ დღეს ქალ-ვაჟი ჰყავთ.

აქ მართლა ბევრ საოცარ ისტორიას მოისმენთ. პირველი წირვა ნაჩხურუს ეკლესიაში დეკანოზმა, მამა სერაფიმემ (დანელია) აღავლინა. მაშინ ის სოფლის ტაძრის წინამძღვარი გახლდათ. ყოველ ხუთშაბათს 7 კილომეტრს ფეხით გადიოდა და წირვას ატარებდა. აი, რას იხნებს მამა სერაფიმე:

- ამ ტაძარში უკვე მრავალ სასწაულს შევსწრებივარ, მაგრამ პირველი სასწაული მართლაც დაუფინყარია ჩემთვის. ახლობელ ცოლ-ქმარს უშვილოების პრობლემა ანუხებდა და მთხოვეს მათთვის შეკვეთილი წირვა აღმესრულებინა მთავარანგელოზთა ტაძარში. მაშინ ახლად

ნაკურთხი მღვდელი ვიყავი, არც მედავითნე მყავდა და არც საკურთხევის მსახური, ამიტომაც ვთხოვე თვითონვე ემსახურათ. ცოლი გალობდა, მეუღლე კი შეძლებისდაგვარად მემსახურებოდა. შემოდგომის სუსხიანი დილა იდგა, ამიტომაც ქმარმა ტაძრის შორიხლოს პატარა ფარდულში ცეცხლი აანთო და დროდადრო გაიპარებოდა ხოლმე გასათბობად. წირვის მსვლელობისას ვხედავდი, რომ რამდენჯერმე შემოიბრინა, თან გაოგნებული სახე ჰქონდა და აქეთ-იქით უცნაურად იყურებოდა. წირვის დასასრულს ვკითხე თუ რა იყო ამ უცნაური ქცევის მიზეზი? - მიპასუხა, - წირვის დროს რომ შემცივდა გასათბობად გავედი, მაგრამ როგორც კი ცეცხლთან დავჯექი, საოცარი გალობა მომესმა ტაძრიდან და ვიფიქრე ხალხი ამოვიდაო. შემოვედი ტაძარში. იქ კი არავინ დამხვდა, უკან გასულს ისევ ის საოცარი ხმები მომესმა და ეს რამდენჯერმე გამეორდაო... დიდება შევწირეთ უფალს, მაშინ ტაძარში წირვა-ლოცვის აღდგენის პირველი დღეები იყო და ჩავთვალეთ, რომ ანგელოზებიც ჩვენთან ერთად ხარობდნენ ამის გამო. რომ იცოდეთ, ამ ჩემი ახლობლის ოჯახს ამის შემდგომ ოთხი შვილი შეეძინა. გილოცავთ ნაჩხურობის დღესასწაულს... ნაჩხურუს მთავარანგელოზებმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ბოლო წლებია ნაჩხურობას მეუფე პეტრე ატარებს წირვას. ამ დღეს უშვილოებს ლოცვებში იხსენიებენ, წყვილები ეზიარებიან და შემდეგ მათ და მომლოცველებს საგანგებოდ, ეპარქიის სახელით გაშლილ ტრაპეზზე ეპატიჟებიან. იქ მამათა მონასტერი რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. სტიქაროსნები წყვილების სახელებს ინერენ და მთელი წლის განმავლობაში ყოველ ხუთშაბათს ბერები უშვილო წყვილებს ლოცვებში იხსენიებენ და მთავარანგელოზს მათთვის შვილიერებას სთხოვენ. გარდა ბრწყინვალე შვიდეულისა, უშვილო წყვილებს ტაძარში ნებისმიერ ხუთშაბათს შეუძლიათ ასვლა და ლოცვა. ტაძარში მიტანილ პატარა აკვნებს სასულიერო პირები აკურთხებენ. ის აკვნები იმ უშვილო წყვილებს მიაქვთ, რომლებსაც აკვანი არ ამოუტანიათ, ბევრი ლამაზად მორთული აკვანი მშობლებს სახლში პატარებისთვის მიაქვთ.

შარშან 50-მდე წყვილი ტაძარში მადლობის სათქმელად ავიდა. თუმცა შვილიერების მთხოვნელი თითქმის ათასამდე წყვილი იყო. წელსაც დაითვლიან ტაძრის მსახურები თუ რამდენ ადამიანს აუსრულა უფალმა თხოვნა. ღმერთმა ყველას მისცეს ჯანმრთელი შვილი.


თეა ხურცილავა

დაბრუნება უძველესი სახეობის

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა იზიარა, საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა. თუმცა ხანმოკლე ალოჩნდა მისი დამოუკიდებლობა.

1921 წელს რუსეთის მიერ ანექსიის შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამშობლო და განძს მეთვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმების დაცული ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატიები და თვალ-მარბალით მოჭრილი სხვა საგანძურები, ძვირფასი ხელნაწერები, ზუზდიდის დადიანისა და სხვათა განძეულობა, ბელატიის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან წამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაპურად საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძს ექვთიმე თაყაიშვილი მიუტოვებდა. განძი სულ 39 ყუთით იყო, ექვთიმეს იგი მარსელის განძში ჰქონდა შენახული. განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქარველი ერის საგანძურის გადასარჩენად საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს დაუბრუნა ეროვნული საუნჯე.

წურნალი „სამეგრელო“ პერიოდულად გამაგობთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაბრუნებული საგანძურის შესახებ.




იაღვარი

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს X საუკუნის ჰიმნოგრაფს, მუსიკოსს, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს მიქელ მოდრეკილს. იგი ოშკის სალიტურატურო სკოლის წარმომადგენელი იყო. მიქელ მოდრეკილი ავტორია საგალობელთა კრებულისა „იაღვარი“, რომელიც შედგენილია 978-988 წლებში. კრებული თავდაპირველად შეიცავდა 632 ფურცელს, ჩვენამდე კი მხოლოდ 272 ფურცელმა მოაღწია. კრებულში გაერთიანებული იყო იმ დროისათვის არსებული ყველა

ნათარგმნი თუ ორიგინალური საგალობელი. კრებული იმითაცაა საინტერესო, რომ მასში საგალობლები ნევემირებულია — განყოფილია მუსიკალური ნიშნებით. კრებულში არის სხვა ჰიმნოგრაფთა ნიმუშები, მათ შორის ოთხი ჰიმნი X საუკუნის გამოჩენილი ჰიმნოგრაფის და მუსიკოსის იოანე მინჩხის შემოქმედებიდან. იოანე მინჩხი ავტორია როგორც ტექსტების, ასევე მუსიკალური მელოდიებისაც. იგი წერდა იამბიკოთიც და მარცვლედოვანი საზომითაც. იოანე მინჩხი იყო ნოვატორი, მისი შემოღებული სალექსო კომპოზიცია, რომელიც შემდგომ მყარად დამკვიდრდა ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მიქელ მოდრეკილისა და იოანე მინჩხის თანამედროვეა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ტბეთის საეპისკოპოსო კათედრის პირველი ეპისკოპოსი, მნიგნობარი და ჰიმნოგრაფი იოანე მტბევალი. მისი საგალობლებიც მრავლადაა შესული კრებულში. საგალობლები მიძღვნილია დღესასწაულებისადმი


და მასთან ერთად განადიდებენ დიდ მოღვაწეებსაც: იოანე ნათლისმცემელს, იოსებ მართალს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, იოანე ოქროპირს და სხვებს.



დავითის ჯვარი

ჯვარი, რომელსაც დავით აღმაშენებელი ატარებდა, ინახებოდა გელათში. იგი სავარაუდოდ, უფრო ადრე, IX საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. ჯვარი ძველი დროიდანვე მოსილი იყო ძლევა მოსილების სახელით. დავით აღმაშენებელმა იგი მხოლოდ წარწერით შეამკობინა: „ღმერთო ყოვლისა

დამბადებელი ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა ჰერთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისაი ამინ“. ჯვარი ნაკეთებია ვერცხლის ერთი მთლიანი მოოქრული ფირფიტისაგან. ჯვრის ზემო მკლავზე ორი ანგელოზი და მედალიონში წმინდა პეტრეს გამოსახულება; მარცხენა მკლავზე, მედალიონებში, მათე და მარკოზ მახარებლები არიან; მარჯვენაზე — ლუკა და იოანე; ქვედა მკლავზე წმ. ბარბარეს და წმ. პავლეს გამოსახულებებია.



ვახტანგისაოსნის მინიატურა

„ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები შესრულებულია იმერეთის მეფის ალექსანდრეს მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს; მან ლევან II დადიანის ბრძანებით გადაწერა და დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“. მამუკა ტყვედ იყო ჩავარდნილი ლევანის კარზე, რის შესახებაც იგი წარწერაშიც ამბობს: „დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა. ვინცე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულყავ თვრამეტსა აგვისტოსა, ქორონიკონსა სამასოცდათობმეტსა. თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაშიდ ვსწერდი. შიგნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორასოცდათორმეტი“. მამუკას „ვეფხისტყაოსნის“ 39 მინიატურა აქვს შექმნილი. იგი იყო ამასთანავე შესანიშნავი კალიგრაფიც.



ბაგრატის ოთხთავი

მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი — გელათის ოთხთავი გადაწერილია XII საუკუნეში. აქვს 44 ძვირფასი ქვით შემკული სანიშნე და ვერცხლის ბუდე. ტექსტი ნაწერია ეტრატზე ნუსხურით; ხელნაწერი შეიცავს 292 ილუსტრაციას, მათ შორისაა მახარებელთა გამოსახულებანი. მინიატურები მალალოსტატურადაა შესრულებული. სანყისი ასოებისათვის და ზოგიერთი სტრიქონის გამოსაყოფად ნახმარია ფერუცვლელი ოქრო მელანი; ბალთებზე გამოსახულნი არიან მთავარანგელოზები, ყდის წინაპირზე ჯვარცმის კომპოზიციაა, უკანა პირზე კი — აღდგომის. ყდის ორივე მხარე შემკულია ძვირფასი თვლებით.



წყაროსთავის ოთხთავი

წაროსთავის ოთხთავი XII ს-ის ძეგლია. მისი გადამწერები არიან იოვანე ფუკარალისძე და გიორგი სეთასძე: „დაინწერა და გასრულდა ელითა ორთა მწერალთათა: იოვანეს ფუკარალის ძისა, მნათისათა და გიორგი სუთასძისათა... ქრონიკონი იყო

იე“ (1195 წ.). სახარების ყდის მოჭედებობა ეკუთვნის XII-XIII სს. შესანიშნავ ოსტატს ბექა ოპიზარს. სახარება გადაწერილია და მოაჭედინა ტბეთის ეპისკოპოსმა, „გლახაკმა“ იოანე საფარელ-მტბევარმა. ყდაზევე არის ბექას ხელმოწერაც: „ქრისტე შეინყალე ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი“. ყდას ორი რელიეფური კომპოზიცია ამკობს: ერთ მხარეს „ვედრება“; მეორე მხარეს — „ჯვარცმა“. „ვედრების“ მხარეს, მაცხოვრის ზემოთ ლამაზად შესრულებული ასომთავრული წარწერებია. ბექა ოპიზარის მიერ შესრულებული ყდების მოჭედებობა ოქრომქანდაკელობის მწვერვალია. ბექას მიერ შესრულებული ნამუშევრებიდან ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ანჩის ხატის ჩარჩოს მოჭედებობა.



ბერტის ოთხთავი

ბერტის ოთხთავი ეკუთვნოდა ბერტის მონასტერს (კლარჯეთი). ოთხთავის ყდის წარწერებში ვკითხულობთ: „ოქროპირისა ნივთითა მოიჭედა სახარებაი ესე“, „მოიჭედა ელითა ბეშქენ ოპიზარისათა“. ყდის მოჭედებობა ეკუთვნის გამოჩენილ ოქრომჭედელს ბეშქენ ოპიზარს, მისი ნამუშევრებიდან ცნობილია მხოლოდ ეს მოჭედებობა. ოთხთავის ერთ მხარეს გამოსახულია „ჯვარცმა“, მეორე მხარეს — „ვედრება“. ჩუქურთმები და ორნამენტაცია ბეშქენის მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს.

დავით კიკოლაშვილი

განუჯიყრონოს უნდა

ფუტკრის რძე უნიკალური მკურნალია

ფუტკრის რძეში ანტიბიოტიკ-ჰერმიციდინის შემცველობის გამო მიკროორგანიზმები არ ვითარდება. რთული ქიმიური შედგენილობის გამო ის მეფუტკრეობის პროდუქტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ძვირფასი პროდუქტია. შეიცავს 110 სხვადასხვა დასახელების ნაერთს. ორიგინალურ კომპონენტთა შემცველობის წყალობით წარმოადგენს ძლიერ ბიომასტიმულირებელ, მატონიზებელ და ზოგადგამაჯანსაღებელ სითხეს.

ღამწროვებისა და ქნელად შეხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ

აღნიშნული ჭრილობები სასურველია თავდაპირველად ფუტკრის რძის სპირტიანი ხსნარით დაამუშავოთ, შემდეგ კი რძისა და თაფლის ნარევი დასველებული ტამპონები დაადოთ. ნარევი შეგიძლიათ გამოხდელი (დისტილირებული) წყლით ორჯერადად განაზავოთ. ტამპონები დღეში ორჯერ უნდა გამოცვალოთ. ამ პროცედურათა წყალობით ჭრილობა სუფთავდება, ეპითელური ქსოვილის ზრდა სტიმულირდება და ჭრილობაც, შესაბამისად, ხორცდება. იგივე მეთოდით რეკომენდებულია პოსტოპერაციული ნაწიბურების მკურნალობაც.

ათაროსკლაროზის წინააღმდეგ

1 ჩაის კოვზი ფუტკრის რძე თაფლისა და პროპოლისის ნარევეს შეურიეთ და დღეში სამჯერ, ჭამამდე 20-25 წუთით ადრე, პირის ღრუში სრულ დადნობა-შენოვამდე გაიჩერეთ. მკურნალობის კურსი 3 თვეს მოიცავს. ამასთან, ყოველი თვის შემდეგ 3-4 კვირიანი დასვენების შუალედების დაცვაა სასურველი. ე. წ. შუალედებში გირჩევთ ფუტკრის რძის სპირტხსნარის 10-15 წვეთი მიიღოთ დღეში სამჯერ (უმჯობესია პირში ჩაინვეთოთ და პირდაპირ არ გადაყლაპოთ). ამ სამკურნალო-პროფილაქტიკური კურსით სისხლში ქოლესტერინის დონე საგრძნობლად ქვეითდება, სისხლის ფორმულა უმჯობესდება, არტერიული წნევა რეგულირდება, ადამიანებს გულის არეში ტკივილი და სხვადასხვა სახის დისკომფორტი უქრებათ, უმჯობესდება ძილის პროცესი, მადა და მესხიერება.



ფუტკრის რძე 54 დაავადებას კურნავს.

თინათინ გოცაძე

წამალი, რომელიც ჰიპოკრატემ გამოსცადა

ამ წამლის გამოყენების შედეგად: დიზენტერია, გაივლის 5 საათში, სალმონელოზი 2-5 კვირაში, კუჭის წყლული ერთ კვირაში, კოლიტი ერთ კვირაში, დისბაქტერიოზი ერთ კვირაში, მწვავე აპენდიციტი 5 საათში.

წამლის მოსამზადებლად დაგჭირდებათ წყალი და ბროწეულის გამხმარი კანი. აიღეთ 10-12 გრამი გამომშრალი ბროწეულის ქერქი და დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი. სასურველია, თუ ამ ყველაფერს მინის ჭურჭელში მოათავსებთ. დააფარეთ ქალაღდის ფურცელი ან თევზი. გააჩერეთ 25-30 წუთი და შემდეგ დაიწყეთ დაღევა. ქერქებს ნუ გადაყრით. სანამ წყალს დაღევთ, ეს ქერქები აუცილებლად უნდა იყოს წყალში. მკურნალობა იმ წუთიდან იწყება, როდესაც მდუღარე წყალს დაასხამთ ქერქს.



სასმელის მომზადების წესი ყველა ჩამოთვლილი დაავადებისთვის ერთნაირია. მხოლოდ მისი მიღება განსხვავებული.

დიზენტერიის, სალმონელოზის, მწვავე აპენდიციტის დროს ნაყენი მიიღეთ შემდეგნაირად:

მდუღარე წლის დასხმიდან 30 წუთის გასვლიდან დალიეთ დაახლოებით ნახევარი ჭიქა. სასმელი არ გადაწუროთ. თუ დაღევიდან ათ წუთში თავი ჯანმრთელად იგრძენით. ე.ი. ადგილი ჰქონდა კუჭის მუშაობის

უბრალო დარღვევას და ბოლომდე განიკურნეთ.

შეგიძლიათ, ნებისმიერ ადგილას ნახვიდეთ. დიარეა და ყაზბობა თქვენ არ გაქვთ.

თუ დაღევიდან ათი წუთის შემდეგ უკეთ არ იგრძენით თავი, ე.ი. თქვენ ან დიზენტერია გაქვთ,

ან სალმონელიოზი. დარჩით სახლში და სამი საათის შემდეგ დარჩენილი სასმელი დალიეთ. დალევადან ხუთ საათში თქვენ თავს უკეთ იგრძნობთ.

ამ სასმელით განსაკუთრებულად თუ გაქვთ კუჭის წყლული, ნანლაგების წყლული, კოლიტი ერთი კვირა დაგჭირდებათ. დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ დაახლოებით 90-100 მლ. ოთხი დალევის შემდეგ დოზა უნდა გაანახევროთ. **დაიმახსოვრეთ, რომ სასმელი დღეგამოშვებით უნდა დალიოთ ერთი კვირის განმავლობაში.** ეს საკმარისია სასურველი შედეგის მისაღებად. თუ პროფილაქტიკის მიზნით კვლავ მოგინდებათ დალევა, აუცილებლად ერთი კვირა უნდა იყოს გასული მკურნალობის დამთავრებიდან.

ცნობილია, რომ ჰიპოკრატე, ამ სასმელით ჭრილობებს კურნავდა. ღია ჭრილობებს ამ სასმელით გაჭლენთილ ნაჭერს ადებდა. სასმელი ინფექციის განვითარებას უშლიდა ხელს და ჭრილობის შეხორცებას აჩქარებდა. ავიცენამ თავის ტრაქტატებში ბრონეული 150-ჯერ ახსენა და ყოველთვის სხვადასხვა მიზეზით.

ბრონეული კოსმეტოლოგიაში ფაქტობრივად შეუცვლელია. შედის ძალიან ბევრ მაღამოს შემადგენლობაში. მისი შემცველობის მაზები თქვენს კანს ატენიანებს და ათეთრებს.

ბრონეული ამაგრებს ფრჩხილებს და თქვენს თმასაც დაეხმარება ჯანმრთელი იყოს.

ბუნებრივი საშუალებები კოლოს ნაკბენის წინააღმდეგ

არაფერია ისე ძალიან შემანუხებელი ზაფხულის ცხელ დღეებში, როგორც კოლოს ნაკბენი. ეს, ერთი შეხედვით პანანინა, ბზულია მწერები იმდენად შემანუხებლები არიან, რომ ღამით ძილსაც კი არ გაცდიან და ამით, ხასიათს გვიფუჭებენ.

მათი ნაკბენები ხშირად კანზე ფარჩასავით გვეფინება, ქავილსაც რომ თავი დავანებოთ.

ჰოდა, ვინაიდან ეს პრობლემა, მეტად შემანუხებელია, მასთან ბრძოლის რამდენიმე ხერხი მოიძია. რომელია უკეთესი ხერხი, რომ მათ ნაკბენებს გავუმკლავდეთ? ეს თქვენი გადასაწყვეტია.


მარილი

დაუფერებელია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი სამზარეულოს განუყოფელმა „ატრიბუტებმა“, როგორიცაა მარილი და წყალი კოლოს ნაკბენი დაგვიამოთ. დაისხით ნაკბენზე თბილი წყალი და დააყარეთ მარილი. დაელოდეთ წყლის გამრობას უკეთესი შედეგისთვის.



კბილის პასტა

ყველაზე მარტივი და სწრაფი ხერხი კოლოს ნაკბენის შედეგად გამოწვეული ქავილის წინააღმდეგ, არის კბილის პასტა. საჭიროა, მხოლოდ ნაკბენზე წაისვათ ცოტაოდენი კბილის პასტა. იგი დაარბილებს ნაკბენს, შეაჩერებს ქავილს და გააქრობს სინითლეს.



ბანანის კანი

თუ თქვენ პიკნიკზე, ან ექსკურსიაზე ხართ, ან აპირებთ წასვლას, სხვა ხილთან ერთად წაიყოლეთ ბანანი. მერე რა თუ ბანანი ზაფხულის ხილი არ არის?! დამიჯერეთ, იგი კოლოს ნაკბენის წინააღმდეგ ბრძოლაში დაგეხმარება.

წაისვით ბანანის ქერქის შიდა მხარე ნაკბენზე და ცუდი შეგრძნება, დაუყონებლივ გაქრება!



საკვები სოდა

კიდევ ერთი, ჯადოქარი არის საკვები სოდა. თბილ წყალში, გაურიეთ სოდა და როგორც კი თანაბარ ფორმას მიიღებს, წაისვით კოლოს ნაკბენზე. გაშრება, თუ არა, იგრძნობთ შევებას.



ლიმონი

გამონურეთ ლიმონი, დაასველეთ ბამბა ლიმონის წვენი და დაიდეთ კოლოს ნაკბენზე. ნელ-ნელა სინითლე და ქავილი გაგივლით. შეგიძლიათ ცოტა ხნის შემდეგ ისევ სცადოთ.

თუ ამ ყველაფრის გაკეთება დაგეზარებათ, მაშინ შეგიძლიათ შეიძინოთ შესაბამისი პროდუქცია აფთიაქში.

მოკლედ, არჩევანი თქვენზეა. მთავარი ის არის რომ მშვიდად დაიძინოთ და კოლოს ნაკბენმა ძალიან არ შეგანუხოს.





მე და ჩემი მეგობარი, ომარ ჭითანავა, ჯერ კიდევ ზუგდიდში ვსწავლობდით ერთად, შემდეგ თბილისში მოვეწყვეთ, ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ მილიციის სამმართველოში და თითქმის ყველგან განუყრელად ვიყავით. საქმეებსაც ერთად ვაკეთებდით, დროსაც ერთად ვატარებდით და ერთად ვიზიარებდით ჭირ-ვარამს.

ერთხელ პოლონეთში მოგვინია გამგზავრება სოციალისტური ქვეყნების მილიციის უწყებების სიმპოზიუმ-შეჯიბრებაზე. ეს ღონისძიება მოძმე სახელმწიფოებს შორის გამოცდილების გაზიარებას და სხვადასხვა სპეციალობაში შეჯიბრებას ისახავდა მიზნად. იმ პერიოდში მე და ომარი „მურში“ ვმუშაობდით და, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ საკმაოდ კარგი „ოპერები“ ვიყავით, თანაც, არცთუ ურიგო სპორტსმენებად ვითვლებოდით. მე სროლაში ვიღებდი მონაწილეობას, ომარი კი – კლასიკურ ჭიდაობაში.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ომარმა ფინალამდე მიაღწია და გადამწყვეტ შეხვედრაში კუბელ ფალავანს უნდა შეხვედროდა, რომელიც რკინის კაცს ჰგავდა. მასთან გამარჯვების შანსი ჩემს მეგობარს, ფაქტობრივად, არ ჰქონდა – ის ოხერი ყველა თავის მონინაალმდეგეს ოცდაათ წამში ამარცხებდა.

ომარს ვუთხარი:

– ბიჭო, იქნებ, ცოტა ხანს მაინც გაუძლო იმ შეჩვენებულს, რომ სირცხვილი არ ვჭამოთ. ჭიდაობის ქვეყნიდან ვართ და თავი მოგვეჭრება, ვიღაც უთვისტომო კუბელმა ასე იოლად რომ დაგამარცხოხს-მეთქი.

– რამეს მოვიფიქრებო, – მითხრა ომარმა და ხალიჩაზე გავიდა.

„სხვატკა“ რომ დაიწყო, ის შეჩვენებული კუბელი ხარივით ეტაკა ომარს, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ეშმაკობა იხმარა და მას ტექნიკურად თითი ატაკა თვალში. კუბელმა ომარს რალაც უთხრა და ამის შემდეგ სასწაული მოხდა. ჩემმა ძმაკაცმა ეს მთასავით ზანგი ჯერ გაშმაგებით დააგდო ხალიჩაზე, შემდეგ კისრულზე წამოიღო და პანტასავით დაანარცხა ძირს.

ჭიდაობა დასრულდა, ომარი დააჯილდოვეს. როგორც იქნა, დავიმართობე და ვკითხე:

– ყოჩაღ ძამია, მარა, ისეთი რა მოხდა, რომ ეს მთასავით კაცი ასე გაანადგურე?

ომარს გაეცინა და მითხრა:

– არ დაიჯერებ, მაგრამ კუბელმა მეგრულად მითხრა: – „სკან დიდა ფხ“ – შენი დედაო. ამან გამამწარა და იმიტომ მოვუგე.

კინოფილმი „რეკორდი“ წარმომიგდა თვალწინ და სიცილი ამიტყდა, მაგრამ, ომარს არ დავუჯერე და მისი შემონმება გადავწყვიტე. იმიტომ, სალამოს ის გოლიათი კუბელი რესტორანში დავპატიჟე ომართან შერიგების საბაბით, სინამდვილეში კი მისი შემონმება მინდოდა.

ექსპერიმენტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა: ზანგი მშვენივრად ფლობდა მეგრულ ენას და თქვენ წარმოიდგინეთ, მეგრულ სიმღერებსაც მღეროდა – როცა დათვრა, „ოდოია“ დასჭექა. საქმე კი ის იყო, რომ კუბელს მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული ინსტიტუტი, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მეგრული მან ჩვენი მეგობრის – ოთარ ქირიასგან ისწავლა, რომელიც მის ოთახში ცხოვრობდა.

ტექსტი მომზადებული ვიცე-პოლკოვნიკ მერაბ პირტიას

ნაამბობზე დაყრდნობით



ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი „ხელთყვანებისა და მემკვიდრეობის მკვლევარს“



გსურთ იყოთ წარმატებული?

გაქვთ ამბიციისა?

გსურთ მიიღოთ საფუძვლიანი განათლება?

**ინსაველთ ჩვენთან, მიიღეთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი და
გახდით პროფესიონალი!**

თქვენს განათლებაზე იზრუნებენ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, კოლეჯში მოქმედებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სპეციალური და მხატვრული ლიტერატურით. სპეციალური კაბინეტ-ლაბორატორიები და სრულფასოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაგეხმარებათ მიიღოთ ხარისხიანი განათლება და შეუერთდეთ წარმატებულ ადამიანთა რიგებს.

ქორეოგრაფ-რეპეტიტორის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მიიღებენ „იუნესკოს“ ცეკვის საერთაშორისო საბჭოს სერთიფიკატს, რომლითაც თქვენ შეძლებთ იმუშაოთ სხვადასხვა ქვეყნებში ქორეოგრაფად.

აპიტურინატორებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკითხები:

- + განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი—დედანი ან 9 კლასის დამთავრების მოწმობა)
- + ოთხი ფოტოსურათი 3X4
- + პირადობის მოწმობის ასლი

კოლეჯის ბაზაზე ჩამოყალიბებულია ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამანი“ და ფოლკლორული ანსამბლი „ზარები“. მათ ხშირად აქვთ გამოსვლები როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა კონცერტებსა და ფესტივალებზე.



სოციალურად დაუცველ და იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მოქმედებს შეღავათიანი.

ჩვენთან სწავლა პრესტიჟულია!

მხოლოდ ჩვენთან

ჩვენი კოლეჯის ქორეოგრაფ—რეპეტიტორის ფაკულტეტი გახდა „იუნესკოს“ ცეკვის საერთაშორისო საბჭოს წევრი.

მიღება ცხადდება შემდეგ სპეციალობაზე:

9 კლასის განათლების გაზაზა:

- + კორესპონდენტი—800 ლ.
- + სამკურნალო ნაწარმის სპეციალისტი— 1100 ლ.
- + კრიმინალისტი III საფეხური—1300 ლ.

კრიმინალისტი:

- + IV საფეხური — 1400 ლ.
- + V საფეხური — 1500 ლ.
- + დრამის—რეჟისორ—რეპეტიტორი — 2000 ლ.

სრული ზოგადი განათლების გაზაზა:

- + გიდი — 1200 ლ.

მონტაჟის რეპეტიტორი:

- + IV საფეხური — 1400 ლ.
- + V საფეხური — 1500 ლ.
- + ქორეოგრაფ-რეპეტიტორი — 1500 ლ.
- + მუსიკის-რეპეტიტორი — 3000 ლ.
- + (თანხა მოიცავს 2 სასწავლო წელს)
- + საესტრადო მუსიკის შემსრულებელი — 1600 ლ.
- + მცირე ბიზნესის მწარმოებელი — 1500 ლ.



კოლეჯში ასევე მოქმედებს მრავალპროფილიანი ტრენინგ-ცენტრი, სადაც მოგაზრდებათ თქვენთვის სასურველ სპეციალობაში და მიიღებთ სერთიფიკატს. სწავლის დაწყება და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მსურველთა ინტერესების გათვალისწინებით.

www.xma.edu.ge
მის: თბილისი,
წერეთლის გამზირი 1
555 555 951
598 331 951

შენგობილი სიყვარული



ქვეყნის პატივსაცემად